ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა
Akhali Taoba

7 მაისიდან!
„ახალი თაობა“
+
საქართველოს
ისტორია
10 ლარი




ოთხშაბათი, 8 მაისი, 2013 №107 (6108) ფასი: 30 თეთრი

# რის მინისტრად დანიშნავს ბიძინა ივანიშვილი კობა დავითაშვილს



## დეპუტატი გიორგი მარგველაშვილის გადადგომას ითხოვს

გვ.3





## როლანდ ახალაია: „მოვა დრო და ყველაფერს ვიტყვი“

გვ.5

## ზვიად აბესაძე: „მიშას ძმამ და ოქრუაშვილმა ლუდი „ბალტიკა“ წაართვეს“

## თეა თუთბერიძე: „მერაბიშვილსა და „ქართულ ოცნებას“ შორის გარიგება შედგა“



გვ.4

## სანდრო ბრეგაძე: „ვადამდელი არჩევნები აუცილებლად უნდა დაინიშნოს“

გვ.2



# ევროპულ ოჯახში მისასვლელად რთული გზა უნდა გაიაროთ!

გვ. 5



## მიხეილ სააკაშვილი: „ჩვენი რეგიონის მომავალი ბედი აქ, აზერბაიჯანში წყდება“

გვ.,



გვ.3

## ლიტვამ რუსეთს გივი თარგამაძის ექსტრადიციაზე უარი უთხრა

1 მაისიდან!
„ახალი თაობა“
+
ილია II
ოქროს ხანა
სამტომეულის
პირველი
ტომი
8 ლარი




**4** თბილისში ბოლო 3 დღის განმავლობაში სასმელით 254 ადამიანი მოიწამლა

**4** საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი სოფო მოსიძე გახდა

**5** საქართველოს ელჩმა ლატვიის პრეზიდენტს რწმუნებათა სიგელები გადასცა

**4** ივანიშვილი შრომის კოდექსთან დაკავშირებით მარგველაშვილის პოზიციას ეთანხმება

ISSN 1987-9385
9 771987 938006

# სანდრო ბრეგაძე: „ვადამდელი არჩევნები აუცილებლად უნდა დაინიშნოს“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ეროვნულების ერთ-ერთ ლიდერ სანდრო ბრეგაძესთან

***— ბატონო სანდრო, როგორ შეაფასებდით ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? საუბარია, რომ ოცნებაში დაპირისპირებაა, რომ კირვალიძეს საბოტაჟი მოუწყვეს და ასევე ირაკლი ღარიბაშვილთან დაკავშირებითაც იგივე იგეგმება, რადგან ამით ივანიშვილის შესუსტება სურთ. თქვენ რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?***

— საერთოდ, როდესაც კოალიცია იქმნება, არ არის ერთიანი გუნდი, რაც არ უნდა მოინდომო. მე საერთოდ ძალიან ბევრი კოალიცია მინახავს ჩემი პოლიტიკური ცხოვრების განმავლობაში და აბსოლუტურად ყველა კოალიციაში, რაც არ უნდა ძლიერი ლიდერი ჰყავდეს ამ კოალიციას და რაც არ უნდა ცდილობდეს, რომ დისციპლინა დაამყაროს კოალიციაში, რა თქმა უნდა, არის აზრთა სხვადასხვაობები საკმაოდ ბევრ კარდინალურ საკითხთან დაკავშირებით და ამას ვერ გამორიცხავ. მით უმეტეს, როდესაც კოალიციაში შეკრებილია სხვადასხვა პოლიტიკური წარსულის და პოლიტიკური იდეოლოგიის მქონე ადამიანები, რა თქმა უნდა, აზრთა სხვადასხვაობა იქნება. დღევანდელი გადასახედიდან მე ვხსნი და ვფიქრობ, რომ ივანიშვილის ფაქტორი მაინც გადამწყვეტია, ანუ საბოლოო სიტყვა ჯერჯერობით და საბედნიეროდ ივანიშვილს ეთქმის და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის ხოლმე იმ პროცესების დასაწყისი, რომელიც შემდგომ ვითარდება. მე დათო კირვალიძეს ვიცნობ საკმაოდ დიდი ხანია და იგი არის საოცრად კარგი პროფესიონალი და საოცრად პატიოსანი ადამიანი. მე არა მგონია და გამოვრიცხავ, რომ დათო რაღაც კორუფციულ სქემებში იყოს შემჩნეული და, მით უმეტეს, გარეული. მე ვფიქრობ, რომ მის წინააღმდეგ შავი პიარი შეგნებულად იქნა აგორებული. ის წავიდა თანამდებობიდან, დაანახა საზოგადოებას, რომ არის ღირსეული ადამიანი და სხვებივით არ გამოჰკიდებია სავარძელს და ბოლომდე არ დაიწყო თავის მართლება. შემდგომში დრო გვიჩვენებს, რამდენად მართალი იყო ბატონი კირვალიძე თავის გადაწყვეტილებაში. თუმცაღა ერთი რამე გულწრფელად უნდა ითქვას, რომ სოფლის მეურნეობის პროგრამა და პროცესები სოფლის მეურნეობაში ვერ ამართლებს მოლოდინებს, რა მოლოდინებიც ხალხს ჰქონდა პირველი ოქტომბრის არჩევნების წინ და არჩევნების შემდეგ.

***— ამით რისი თქმა გსურთ?***

— პროცესები არ წავიდა ისეთი კუთხით, როგორიც მოლოდინებიც არსებობდა. მოლოდინი იყო ასეთი, რომ იგეგმებოდა სოფლის მეურნეობის აყვავება. რა თქმა უნდა, არავინ არ არის ილუზიაში, რომ 6-7 თვეში მოხდება სოფლის მეურნეობის აყვანა მსოფლიო სტანდარტების დონეზე, მაგრამ რაღაც სერიოზული წინსვლა უნდა ყოფილიყო ამ კუთხით. ეს სერიოზული წინსვლა არ იგრძნობა. რა თქმა უნდა, ამაში დამნაშავეები არიან ის დაბალი რანგის ჩინოვნიკები, რომლებმაც არ შეასრულეს ის დავალებები, რომელიც დავალებებიც მათდამი მიდიოდა და არც იმას გამოვრიცხავ, რომ დაბალი რანგის ჩინოვნიკები გარეულები იყვნენ დიდ კორუფციაში. მე გამოვრიცხავ დათო კირვალიძის უშუალო მონაწილეობას, მაგრამ, რა თქმა უნდა, დაბალი რანგის ჩინოვნიკების მონაწილეობას არ გამოვრიცხავ. თუმცა ეს გამოძიების პრეროგატივაა და სასამართლო გაარკვევს, რაც მოხდა.

***— ღარიბაშვილს რაც შეეხება?***

— რაც შეეხება ღარიბაშვილის სიტუაციას, ერთი შეხედვით შეიძლება შორიდან ჩანდეს ისე, რომ ღარიბაშვილი გახლავთ გამოუცდელი. ვიღაცა შეიძლება ამას ლოგიკურად ხსნიდეს, რომ ირაკლი ღარიბაშვილი სწავლობდა საფრანგეთში, შემდგომში ჩამოვიდა, აქ მუშაობდა ბანკში და მას აქვს საკმაოდ დიდი გამოცდილება ეკონომიურ სფეროში და მას არ აქვს გამოცდილება პოლიციის სფეროში. მე ვფიქრობ, რომ ეს ღარიბაშვილის პლუსია, რომ მას არ აქვს პოლიციური გამოცდილება. იმიტომ, რომ პოლიციური გამოცდილების ადამიანები, ძირითადად არ არიან ღირსნი იმის, რომ ატარებდნენ პოლიციელის მუნდირს. მე არა მგონია შევარდნაძის დროინდელი პოლიციელები, რომლებიც თავიდან ბოლომდე კორუფციაში იყვნენ ჩართულები, ოდესმე გამოსწორდნენ და, მეორე მხრივ, მერაბიშვილის პოლიტიკური პოლიციის წარმომადგენლები ასრულებდნენ პოლიტიკურ დაკვეთებს და პოლიცია იყო პოლიტიკური ანგარიშსწორების იარაღი და ამ ადამიანების გამოსწორება წარმოუდგენლად მიმაჩნია. ღარიბაშვილის პლუსი არის ის, რომ ის არ წარმოადგენს არც შევარდნაძის და არც მერაბიშვილის დროინდელ პოლიციის პირმშოს. მე ამავე დროს მინდა გითხრათ, რომ ვიღაცას ჰგონია, რომ ირაკლი ღარიბაშვილი არის სუსტი მინისტრი და ის ვერ მართავს სიტუაციას სამინისტროში. მე კი მინდა გითხრათ, რომ თავიდან ბოლომდე ღარიბაშვილი მართავს სიტუაციას სამინისტროში და ერთი ნაბიჯიც კი არ იდგმება მისი უშუალო მითითებების გარეშე. საუბარი იმაზე, რომ რაღაცა ღარიბაშვილმა არ იცის, ან რაღაცას ღარიბაშვილი ვერ აკვთებს და რაღაცას საქმის კურსში არ არის და ასე შემდეგ, ეს არის არასწორი შეფასებები. ღარიბაშვილმა აბსოლუტურად ყველაფერი იცის და აბსოლუტურად ის მართავს სიტუაციას სამინისტროში და ის არის საკმაოდ ძლიერი მინისტრი. ახლა თუკი ის კახა თარგამაძესავით არ იძახის რკინის კაცია და ვინც მერაბიშვილივით ხალხი შიშველ-ტიტველი არ გამოჰყავს ტელევიზიით, ეს მის სისუსტეზე არ მიუთითებს. ის არის კეთილშობილი ადამიანი და ამავე დროს არის საკმაოდ ძლიერი შინაგან საქმეთა მინისტრი. ნურავის ნუ ექნება იმის ილუზია, რომ ვინმე მართავს ღარიბაშვილს, ან თვითონ შინლებს მის მართვას.

***— ბატონო სანდრო, იგივეს საუბრობენ პრემიერზეც, რომ მის გარშემო შეიკრა წრე და მას რამდენიმე კაცი მართავს. საუბრობენ, რომ მთლიანად ხუხაშვილზეა დამოკიდებული. ამის თაობაზე რას ფიქრობთ და საერთოდ რა ფენომენია გია ხუხაშვილი დღევანდელ პოლიტიკაში?***

— პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ ბიძინა ივანიშვილი თავისი წარსული მოღვაწეობით და აწმყოთი არ გახლავთ ის პიროვნება, რომელიც შეიძლება ვიღაცამ მართოს. ეს არის გამორიცხული, რაც არ უნდა ძლიერი მრჩეველის ან ძლიერი გარემოცვა ჰყავდეს მას, დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ბიძინა ივანიშვილი თავიდან ბოლომდე ფლობს სიტუაციას და მის მიერ გადადგმული თითოეული ნაბიჯი არის მხოლოდ მის მიერ გადადგმული ნაბიჯი. ის შეიძლება რჩევას ეკითხებოდეს ბევრ ადამიანს და ეს ბუნებრივიც არის. მე არ მიყვარს ისეთი ადამიანები, რომლებიც რჩევას არ ეკითხებიან არავის, რაც არ უნდა ჭკვიანი იყოს და რაც არ უნდა განათლებული იყოს ადამიანი, როდესაც ის სახელმწიფოს მართავს, რა თქმა უნდა, ის რჩევებს უნდა ეკითხებოდეს თავისი გუნდის წევრებს ან მრჩეველთა საბჭოს. ბიძინა ივანიშვილი აბსოლუტურად სწორად იქცევა, რომ რჩევას ბევრ ადამიანს ეკითხება, ხოლო შემდგომში გადაწყვეტილებას თვითონ იღებს. თუკი ვინმეს რჩევას ეკითხება, ეს არანაირად დანაშაული არ არის, ეს ასეც უნდა იყოს. თავის დროზე შევარდნაძესაც რომ ჰყოლოდა მრჩევლები და ამ მრჩევლებისთვის ყური დაეგდო, ან სააკაშვილს რომ ყოლოდა მრჩევლები და მათი რჩევისთვის მოესმინა, დღეს ქვეყანა ასეთ მდგომარეობაში არ იქნებოდა. ბიძინა ივანიშვილი თავიდან ბოლომდე თვითონ იღებს და აღასრულებს კიდეც თავის გადაწყვეტილებებს.



რაც შეეხება ხუხაშვილის ფაქტორს, რაღაც მეცნიერებასავით უნდა შექმნას ალბათ ხუხაშვილის ირგვლივ, რადგან საკმაოდ ბევრი ჭორ-მართალი არის ამ ადამიანზე. მე ამ ადამიანს ახლოს არ ვიცნობ, არასოდეს მასთან შეხება არ მქონია არც დადებითი და არც უარყოფითი კუთხით, ამიტომ, რა თქმა უნდა, პირადი ურთიერთობის გარეშე ძნელია, შორიდან მაცქერალის თვალით პიროვნების როლი სახელმწიფოში შევაფასო. მე ვფიქრობ, რომ ის აჟიოტაჟი, რომელიც ამ პიროვნების ირგვლივ არის ატეხილი, გარკვეულწილად გამოიწვია იმან, რომ გია ხუხაშვილს თავის დროზე არ ჰქონდა სტატუსი და ფაქტიურად სტატუსის გარეშე მუშაობდა ის საქართველოს მთავრობაში. ეს იყო ალბათ ერთგვარი შეცდომა იმიტომ, რომ, რა თქმა უნდა, როდესაც ადამიანს სტატუსი არა აქვს და როდესაც ის მუშაობს მთავრობაში, შემდგომში ეს ყველაფერი ხდება მითქმა-მოთქმის და გარკვეულწილად გაღიზიანების საფუძველიც. აბსოლუტურად ლეგალური იყო, როდესაც ბატონი ხუხაშვილის როლის ლეგალიზაცია მოხდა, როდესაც ის დაინიშნა ოფიციალურად პრემიერის მრჩევლად.

***— თქვენი აზრით, ეს ადრე უნდა გაკეთებულიყო?***

— რა თქმა უნდა, ეს რომ თავის დროზე მომხდარიყო, მე ვფიქრობ, რომ არ იქნებოდა ამდენი საუბარი იმ როლზე, რომელიც ბატონ ხუხაშვილს აქვს საქართველოს მთავრობის საქმიანობაში. მე რამდენადაც ვიცი, მას ეკონომიკის კუთხით საკმაოდ ძლიერი პოზიციები უკავია და მის რჩევებს საქართველოს მთავრობა ითვალისწინებს. ახლა რამდენად ერევა ბატონი ხუხაშვილი შიდა პოლიტიკურ საქმეებში, ეს ჩემთვის უცნობია. შეიძლება მე საკმაოდ ბევრ ინფორმაციას მაწვდიდნენ მარჯვნიდან თუ მარცხნიდან და საკმაოდ უარყოფითი ინფორმაციაც, სიმართლეს გეტყვით, 95%, რაც ბატონ ხუხაშვილზე ჩემთან ინფორმაცია მოდის, ეს არის უარყოფითი ინფორმაცია და საშინელი ინფორმაცია, მაგრამ როდესაც ეს ინფორმაცია მოდის, მე არ ვფიქრობ, რომ ეს ინფორმაცია აუცილებლად სწორია. ამ ყველაფერს სჭირდება ანალიზი და ვფიქრობ, რომ რაღაც ჭორებს არ უნდა აჰყვეს სერიოზული ადამიანი. მე ჭორებიდან გამომდინარე ვერ გამოვიტან დასკვნებს ვერც ერთ ადამიანზე და ვერავის როლზე პოლიტიკასა და საზოგადოებაში. ალბათ კიდევ ცოტა დრომ უნდა გაიაროს, რათა ჩამოყალიბდეს იგივე ჩემი პოზიცია იმ მრჩევლებთან დაკავშირებით, რომელი მრჩევლებიც ტრიალებენ საქართველოს მთავრობის გარშემო. კიდევ ერთხელ განვიმეორებდი და ვიტყვი, რომ დიდი შეცდომა იყო ის, რომ ბატონი ხუხაშვილის სტატუსის ლეგალიზაცია არ მოხდა თავის დროზე.

***— რუხი კარდინალიო...***

— დიახ, ზუსტად, ეს სახელწოდება მას არ დაერქმეოდა თუკი მისი ლეგალიზაცია იქნებოდა. როგორც ახლა, როცა ის არის ოფიციალურად პრემიერის მრჩევლის რანგში. თავის დროზე უნდა მომხდარიყო ეს ყველაფერი. ხუხაშვილი შეიძლება ძალიან დიდ როლს თამაშობს დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში, მაგრამ კითხვის ნიშნები ისმება ხოლმე მაშინ, როდესაც ადამიანს არანაირი სტატუსი არა აქვს და ის აქტიურ მონაწილეობას იღებს პოლიტიკურ პროცესებში, ესწრება შეხვედრების სხდომებს, დაჰყვება პრემიერს ვიზიტების დროს და ასე შემდეგ. მე მახსოვს, რომ ძალიან დიდი გაღიზიანება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ აზერბაიჯანში ვიზიტის დროს, სამთავრობო დელეგაციაში იმყოფებოდა გია ხუხაშვილი, რომელსაც მაშინ არ ჰქონდა არანაირი სტატუსი. მაშინვე უნდა ჰქონოდა მას სტატუსი და აბსოლუტურად ლოგიკური იქნებოდა მისი ყოფნა სამთავრობო დელეგაციაში. ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რა სტატუსი ექნება ხუხაშვილს, ან საერთოდ ექნება თუ არა, უბრალოდ, ეს სჭირდება ქართველ საზოგადოებას.

***— ბატონო სანდრო, ალბათ თქვენც კარგად გახსოვთ, როდესაც ოცნებამ არჩევნებში გაიმარჯვა, ხუხაშვილმა თქვა, მე ჩემი საქმე უკვე გავაკეთე და კოალიცია დატოვაო... ალბათ თავად სურდა, რომ რუხი კარდინალი ყოფილიყო...***

— მე არ ვიცი რა სურდა მას, მაგრამ ზუსტად ამაზე მაქვს საუბარი, რომ თუკი ის აპირებდა გაეგრძელებინა თავისი საქმიანობა დადებითი კუთხით, რადგან ბატონი პრემიერი ბრძანებს, რომ ხუხაშვილი საკმაოდ დადებით როლს თამაშობს ქართულ პოლიტიკაში, კი ბატონო, თუკი ის აგრძელებდა ამ მოღვაწეობას, რა პრობლემა იყო, მას ჰქონოდა სტატუსი. სწორედ ეს იყო შეცდომა, რომ არ მოხდა ამ პიროვნების ლეგალიზაცია თავის დროზე. ის ფაქტიურად არალეგალი იყო მთავრობაში. ის იყო არალეგალური მრჩეველი და, რა თქმა უნდა, ეს ყოველთვის გამოიწვევს მითქმა-მოთქმას. ასე შორიდან ძნელია ამ თემებზე საუბარი, თუმცა ერთი რამ ფაქტია, ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდება და მე არ მინდა, რომ ურემი გადაბრუნდეს. მე ბევრ რამეს დღევანდელი გადასახედიდან უკვე სკეპტიკურად ვუყურებ და ეს სკეპტიციზმი დამოკიდებულია საკმაოდ ბევრ რამეზე.

***— რა არის თქვენი სკეპტიციზმის მიზეზი და ოპოზიციაში ხომ არ აპირებთ გადასვლას?***

— არა, ოპოზიციაში გადასვლაზე არა მაქვს მე საუბარი, უბრალოდ, ჩემი სკეპტიციზმის საფუძველი არის ის, რომ საერთოდ მე და ყველა იმ ადამიანს, ვინც ვაჟკაცური წესით ცხოვრობს, გვიყვარს იმის ასრულება, რასაც ხალხს ვპირდებით და თუ ვერ შევუსრულებ, იმას არც დავპირდები. პირველი ოქტომბრის არჩევანი არ ყოფილა ნაციონალური მოძრაობის გადარჩენა ქართული დემოკრატიის საკეთილდღეოდ, როგორც ამას დღეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს, ჩემთვის ღრმად პატივცემული უსუფაშვილი. ყოველგვარი იუმორის გარეშე ვამბობ ამას, მიუხედავად განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებისა და ღირებულებისა, მე საკმაოდ დიდი სიმპათიით ვუყურებ მის მოღვაწეობას. თუმცა ამ მოსაზრებაში მას არავითარ შემთხვევაში არ დავეთანხმები იმიტომ, რომ პირველ რიგში, საქართველოს მოსახლეობას ხმა არ მიუცია მისი პარტიისთვის და მეორე მხრივ, რომ განეცხადებინა მას არჩევნების წინ, რომ ქართული დემოკრატიის მთავარი ამოცანა არის ნაციონალური მოძრაობის გადარჩენა, მერწმუნეთ, რომ საქართველოს მოსახლეობა ამას დიდი პროტესტით შეხვდებოდა. საქართველოს მოსახლეობის და ქართული დემოკრატიის ამოცანა არის ის, რომ დამნაშავე ნაციონალური მოძრაობა გაქრეს პოლიტიკური ასპარეზიდან. აი, ეს არის ჩვენი დემოკრატიის ამოცანა. ხელოვნურად კონსერვაცია, ეს ისეთივე დანაშაულია, როგორც ნაციონალური მოძრაობის წევრობა. თუკი ვინმე იმას ფიქრობს, რომ ერთადერთი ოპოზიციური ძალა იყოს ნაციონალური მოძრაობა, რადგან ის დისკრედიტირებულია და წინააღმდეგობის გაწევას ვერ შეძლებს და ამიტომ ნაციონალური მოძრაობა გადაარჩინოთო, ნაციონალური მოძრაობა, რომელიც სასიკვდილო სარეცელს არის მიჯაჭვული და ხელოვნური სუნთქვის აპარატზეა შეერთებული და ჩვენ მას ხელოვნურად უნდა ვასუნთქოთ, რომ იცოცხლოს, მე ვფიქრობ, რომ ეს არის თავიდან ბოლომდე არასწორი თეზა. ეს არის საკმაოდ ცუდი შედეგების მომტანი ქართული სახელმწიფოებრიობისათვის, რის შედეგებსაც ჩვენ საკმაოდ მოკლე ხანში ვნახავთ. აუცილებელია მოხდეს რეალური ოპოზიციური სპექტრის ჩამოყალიბება. მეტსაც გეტყვით, აუცილებლად უნდა დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები და თუკი ჩვენ გვინდა ქართული დემოკრატიის გადარჩენა, მე პირდაპირ ვაცხადებ, კოალიცია არ უნდა გამოვიდეს ერთიანი შემადგენლობით. უნდა გამოვიდეს ბიძინა ივანიშვილის პარტია ცალკე და დანარჩენი პარტიები ყველა ცალ-ცალკე და ვინც რამდენ ხმას მიიღებს, იმის მიხედვით მოხდეს პარლამენტში და იმის მიხედვით მოხდეს თანამდებობების გადანაწილება. აი, ეს იქნება ლოგიკური და სამართლიანი. თორემ ბიძინა ივანიშვილის სახელს მიკერებული როდესაც ხარ და 1% რეიტინგი არა გაქვს და უდიდესი თანამდებობის დაკავებას ფიქრობ და აქედან კიდევ მე ჭკუას მარიგებ, ასე არ გამოვა. ეს სიტუაცია დიდხანს არ გასტანს. ერთ მშვენიერ დღეს, არა მარტო ჩემში, არამედ ბევრ ადამიანში ეს ყველაფერი გაიბერება, გასკდება და არა მგონია, ეს კარგის მომტანი იყოს ქვეყნისთვის.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ზაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რის მინისტრად დანიშნავს ბიძინა ივანიშვილი კობა დავითაშვილს

## დეპუტატი გიორგი მარგველაშვილის გადადგომას ითხოვს

შორენა მარსაგიშვილი

**დეპუტატ კობა დავითაშვილს ოპოზიციური ჭია შეუჯდა და არ ასვენებს. ცოტა ხნის წინ მან ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო გააკრიტიკა, ახლა კი განათლების მინისტრ გიორგი მარგველაშვილს გადაემტერა. დეპუტატი მიიჩნევს, რომ ცოტა ხნის წინ გაკეთებული განცხადებების გამო მარგველაშვილს ვიცე-პრემიერის პოსტი უნდა დაეტოვებინა. განათლების მინისტრობის გარდა, ის ვიცე-პრემიერის პოსტსაც იკავებს.**

მარგველაშვილმა ახალი შრომის კოდექსი დაიწუნა და განაცხადა, რომ ეს კოდექსი როზა ლუქსემბურგის ახდენილი ოცნებაა. სწორედ როზას ოცნებამ აღაშფოთა დავითაშვილი.

„პირველი რადიოს" რადიოკლუბში გამოსვლისას დეპუტატმა განაცხადა, რომ მარგველაშვილის მიერ გაკეთებული განცხადებები უცნაურია. დავითაშვილი მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში თუ განათლების მინისტრისთვის შრომის კოდექსი მიუღებელია, მან ვიცე-პრემიერის თანამდებობა უნდა დატოვოს.

– რბილად რომ ვთქვა, ძალიან უცნაურია ბატონი გიორგი მარგველაშვილის განცხადება. ის არის მთავრობის ვიცე-პრემიერი. მე ძალიან ხშირად მაქვს ხოლმე განსხვავებული აზრი, ეს ყველაფერი ხდება იმიტომ, რომ შიდა განხილვის დროს არ მეძლევა საშუალება ჩემი აზრი დავასაბუთო ან ჩემს გარეშე მიიღება გადაწყვეტილება. ამ შემთხვევაში საქმე სხვაგვარად არის. ბატონი გიორგი არის ვიცე-პრემიერი და ეს კანონპროექტი, რასაც შრომის კოდექსი ჰქვია, მთავრობის სხდომაზე იქნა განხილული, მათ შორის მარგველაშვილის მონაწილეობით. ეს მოხდა რამდენიმე თვის წინ. პირველი მოსმენით ამ საკითხის განხილვა დაიწყო ჯერ კიდევ შარშან. შეიძლება ბატონი გიორგის განცხადება არ იყო განკუთვნილი საჯარო გახმაურებისთვის, რადგენადაც ეს ჩანაწერი, რომელიც ვნახე, ტელეფონით ან სხვა რაიმე საშუალებით არის გადაღებული. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ მისი განცხადების კონტექსტი უკავშირდებოდა კვლავ პირველი მაისის აქციას და მან ერთმნიშვნელოვნად დაადანაშაულა სტუდენტები პოლიციასთან შეჯახებაში. მან აღნიშნა, რომ სტუდენტები კიდევ პოლიციელებს ურტყავდნენო. თან ისე თქვა, რომ ისეთი კოდექსი შეიტანეს, რომელიც როზა ლუქსემბურგის ოცნება იყოო, გეგონება ამ მთავრობის ვიცე-პრემიერი თვითონ არ იყოს და მას არ შეეტანოს. მე მგონია, რომ საკუთარ თავთან მოდის წინააღმდეგობაში. ლოგიკური იქნებოდა თუ ბატონი გიორგი ამას ღიად განაცხადებდა მთავრობის სხდომაზე. თუ ვიცე-პრემიერი ასე თვლის, რომ ასეთი მიუღებელი შრომის კოდექსია, მინიმუმ, ვიცე-პრემიერობიდან უნდა გადადგეს, – განაცხადა კობა დავითაშვილმა.

დავითაშვილის გარდა მარგველაშვილი სხვებმაც დაგმეს. მრავალგზის დაგმობილმა ვიცე-პრემიერმა შრომის კოდექსთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებაზე გუშინ განმარტებები გააკეთა.

– მე მიკვირს, რომ საქართველოში მშრომელთა უფლებებს იცავენ ის ადამიანები, რომელთაც როზა ლუქსემბურგი სალანძღავი სიტყვა ჰგონიათ. ეს არ არის სალანძღავი სიტყვა, უბრალოდ გამოხატავს რადიკალიზმს, – აცხადებს ვიცე-პრემიერი.

მარგველაშვილის თქმით, გუნდში ჩამოყალიბებული პოზიციის ღიად გაკრიტიკება არ სჩვევია და წუხს, რომ სოციალური ქსელებით მისი პრივატული საუბარი გავრცელდა. ცნობისათვის, ის განცხადება მარგველაშვილმა „ჯიპას" სტუდენტებთან შეხვედრისას გააკეთა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მარგველაშვილამდე კობა დავითაშვილის რისხვა თავს დავით სერგეენკოს დაატყდა. გაზეთ „ქრონიკისთვის" მიცემულ ინტერვიუში დეპუტატს ჯანდაცვის მინისტრი შემოეკრიტიკა. ამას დიდი ამბები მოჰყვა. სტრასბურში მყოფმა ბიძინა ივანიშვილმა სასწრაფოდ დაურეკა დავითაშვილს და ეჩხუბა.



ონავარი დეპუტატის საკითხი უმრავლესობის სხდომაზეც კი დაისვა. ბოროტი ხმები ამბობდნენ, რომ დავითაშვილს გარიცხავდნენ. კობა ჯერჯერობით უმრავლესობაში რჩება, მაგრამ ისეთი პირი უჩანს, რომ მალე წავა. გუშინ გაკეთებული განცხადებების გამო მას ბევრი მეოცნებე აუმხედრდება და დაგმობს. მარტო მარგველაშვილი რომ ეკრიტიკებინა, კიდევ მოითმენდნენ, მაგრამ დავითაშვილმა თვით ივანიშვილის კრიტიკაც გაბედა. ეს კი, მავანი მეოცნების აზრით, უპატიებელი დანაშაულია.

„პირველი რადიოს" რადიოკლუბში სტუმრობისას დავითაშვილმა აღნიშნა, რომ ის ბიძინა ივანიშვილზე ნაწყენია.

ონავარ დეპუტატს ის ეწყინა, რომ პრემიერმა იგი საჯაროდ გააკრიტიკა და მოითხოვს, ასევე საჯაროდ განაცხადოს, კვლავ იმ აზრზეა თუ არა.

– პრემიერის გამონათქვამში საწყენი რამე დავინახე. ორი ფრაზა – სერგეენკო აკეთებს უფრო მეტს, ვიდრე კობა დავითაშვილი აკეთებს ან ოდესმე გაუკეთებია, ეს იყო ჩემი ცხოვრების გადახაზვა ერთი დიდი წითელი ხაზით და მართალი გითხრათ, მსგავსი შეურაცხყოფა არც ერთი ოპონენტისგან არ მიმიღია. ჩემს ცხოვრებაში იყო საკამათო ეპიზოდები, ამაზე მუდმივად მიმითითებენ – „ნავერწილე" და ჟირინოვსკიმ რომ ხელი არ ჩამომართვა, მაგრამ არავის უთქვამს, რომ დავითაშვილს ცხოვრებაში არაფერი გაუკეთებია და ასევე პრემიერის განცხადება – მე ვენდობი სერგეენკოს, საქმეში არ ჩამიხედავს, არც დავინტერესებულვარ, მაგრამ ვენდობი. სამწუხარო განცხადებებია და გულწრფელად მწყინს ისიც, რომ ბიძინა ივანიშვილისთვის მიხეილ სააკაშვილი უფრო სანდო წყარო ყოფილა, ვიდრე დავითაშვილი. მესმის, რომ სერგეენკო ძვირფასია ბიძინასთვის, მე ის კორუმპირებულობაში არ დამიდანაშაულებია, ამიტომ ბოდიშის მოხდაც არ იყო საჭირო. მაგრამ კვლავ ვთვლი, რომ ის სქემა, რომელიც „ნაციონალების" დროს შეიქმნა, არის კორუფციული. მე მოველოდი საკითხის აზრის განხილვას და არა პროცედურის, მაგრამ პროცედურაც დაცული მქონდა – ორჯერ მივმართე პრემიერ-მინისტრს, ფრაქციის სხდომაზე დავსვი საკითხი, შემდეგ მთავრობისა და უმრავლესობის გაერთიანებულ სხდომაზე პირისპირ ვუთხარი მინისტრს. აქედან გამომდინარე, ბიძინა ივანიშვილის შეფასება იყო ძალიან შეურაცხმყოფელი. მაინტერესებს, კვლავ ასე ფიქრობს თუ არა ის. შეურაცხყოფა საჯაროდ მოხდა და საჯაროდ მაინტერესებს, დღესაც ასე ფიქრობს თუ არა პრემიერი, – აცხადებს დავითაშვილი.

როგორც კოალიცია „ქართულ ოცნებაში" ამბობენ, მალე კობა დავითაშვილი ოპოზიციაში გადავა. ამის შესახებ ცოტა ხნის წინ თავად ივანიშვილმაც ისაუბრა. არავისთვის უცხო არ არის, რომ დავითაშვილს უყვარს ოპოზიციაში ყოფნა. ის ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც მოქალაქეთა კავშირი დატოვა. ასე მოიქცა ნაციონალების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგაც და რაღა ახლა გადაუხვევს გზიდან. მით უმეტეს, რომ ოპოზიციურ ბილიკს უკვე დაადგა.

დავითაშვილის ხმაურიან განცხადებებს განათლების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი მალევე გამოეხმაურა. ის მზად არის, კოლექტიური გადაწყვეტილების შემთხვევაში, თანამდებობა დატოვოს.

გიორგი მარგველაშვილის თქმით, დავითაშვილის შეხედულება მისთვის ანგარიშგასაწევია. მისი განცხადებით, აღნიშნულთან დაკავშირებით აზრს სხვა მეგობრებსაც დაეკითხება, რის შემდეგაც კოლექტიურ გადაწყვეტილებას მიიღებენ.

მინისტრის განმარტებით, უფასო ფაკულტეტების, უფასო წიგნების, მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფით და მასწავლებელთა ხელფასების გაზრდით, მან საკუთარი ღირებულებები უკვე გამოავლინა.

„პირველი რადიოს" პრესკლუბში დავითაშვილმა მინისტრობის სურვილი გამოთქვა. ბიძინა ივანიშვილი, მოგეხსენებათ, ოცნებების ამსრულებელია და გუმანში ჩაიდო, დავითაშვილსაც აუხდინოს ნატვრა.

– კობას მინისტრობაც შეუძლია და სხვა მრავალი რამეც, – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ბათუმში ჟურნალისტებს განუცხადა.

პრემიერმა დავითაშვილის საქებრად სიტყვები არ დაიშურა.

– სხვათა შორის, მე ვენდობი კობას მაგ მხრივ, კობა არის ძალიან პრინციპული და შეიძლება მას ჩავაბაროთ ნებისმიერი მინისტრობაც და რეგიონის ხელმძღვანელობაც, შესაძლოა, დავითაშვილმა სიმკვეთრეების დაბალანსებაც შეძლოს მომავალში, – განაცხადა ივანიშვილმა.

საინტერესოა რა პოსტს შესთავაზებს ივანიშვილი დეპუტატს. დავითაშვილს სოფლის მეურნეობის გაძღოლა სურს.

# ლიტვამ რუსეთს გივი თარგამაძის ექსტრადიციაზე უარი უთხრა

შორენა მარსაგიშვილი



**საქართველოში ყველამ იცის, რომ რუსეთი დეპუტატ გივი თარგამაძის დაჭერას აპირებს. ჩვენებურ ჩე გევარაზე მოსკოვმა საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა. საქართველოს საოცნებო ხელისუფლებამ რუსებს დაუბარა: გივი თარგამაძესთან ბევრი პრეტენზია გვაქვს, მაგრამ მაინც ჩვენია და ვერ გადმოგცემთო.**

შესაბამისად, რუსები დაელოდნენ როდის დატოვებდა ჩვენებური საქართველოს. ეს დღეც მალე დადგა. გივი თარგამაძე ლიტვაში წავიდა. მოსკოვი ახლა ლიტვას ჩაეძია გივი გადმოგვეციო. ისინიც მაგრად დადგნენ და თარგამაძის ექსტრადირებაზე უარი უთხრეს.

ეს ამბავი ნაციონალურ მოძრაობას ძალიან ეამა. მათ გუშინ ლიტვის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაავრცელეს. „ახალი თაობა" გთავაზობთ ამ განცხადების შემოკლებულ ვარიანტს. ტექსტში გივი გიორგი თარგამაძედ არის მოხსენიებული. შემთხვევით ქდმ-ს ლიდერი თარგამაძე არ გეგონოთ. ოფიციალურად გივის გიორგი ჰქვია.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2013 წლის 2 აპრილს ფაქსიმილიით და და 2013 წლის 11 აპრილს დიპლომატიური არხების საშუალებით ლიტვის მთავარმა პროკურატურამ რუსეთის მთავარი პროკურატურიდან მიიღო მოთხოვნა სამართლებრივი დახმარების თაობაზე გივი თარგამაძის რუსეთის ფედერაციაში ექსტრადაციის შესახებ დანაშაულებრივი ქმედებებისთვის, რომელიც განისაზღვრულია რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილით (დანაშაულის მომზადება) და 212-ე მუხლის პირველი ნაწილით (გადატრიალება).

„ვილნიუსის რეგიონული სასამართლოს, სისხლის სამართლის საქმეების განყოფილების მოსამართლე, ლაურეტა ურბიენე გაეცნო რა ლიტვის რესპუბლიკის მთავარი პროკურორის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას საქართველოს მოქალაქის გიორგი თარგამაძის რუსეთის ფედერაციისთვის ექსტრადაციაზე უარის თქმის გადაწყვეტილების დამტკიცების თაობაზე, დაადგინა შემდეგი: 2013 წლის 2 აპრილს ფაქსიმილიით და 2013 წლის 11 აპრილს დიპლომატიური არხების საშუალებით ლიტვის რესპუბლიკის მთავარმა პროკურატურამ რუსეთის ფედერაციის მთავარი პროკურატურიდან მიიღო მოთხოვნა 1957 წლის 13 დეკემბრის "ექსტრადაციის შესახებ ევროპული კონვენციის" საფუძველზე სამართლებრივი დახმარების თაობაზე საქართველოს მოქალაქის გიორგი თარგამაძის რუსეთის ფედერაციაში ექსტრადაციის შესახებ დანაშაულებრივი ქმედებებისთვის, რომელიც განისაზღვრულია რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილით (დანაშაულის მომზადება) და 212-ე მუხლის პირველი ნაწილით (გადატრიალება).

კონვენციის მე-12 მუხლის თანახმად, რუსეთის ფედერაციის მთავარმა პროკურტურამ წარმოადგინა 2013 წლის 29 მარტით დათარიღებული ექსტრადაციის შესახებ მოთხოვნა, გადაწყვეტილება გიორგი თარგამაძისთვის ოფიციალური ბრალის წაყენების თაობაზე და აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის დოკუმენტაცია. დოკუმენტებთან ერთად ასევე იყო 2013 წლის 21 თებერვალს მოსკოვის ბასმანის უბნის სასამართლოს მიერ გამოცემული ორდერი, რომელის მიხედვითაც, გიორგი თარგამაძეს შეეფარდა დაპატიმრება, როგორც სასჯელის ზომა.

ექსტრადაციის მოთხოვნა დაფუძნებული იყო გადაწყვეტილეაბზე, რომლის მიხედვითაც, გიორგი თარგამაძეს ბრალი ედება რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილით და 212-ე მუხლის პირველი ნაწილით, გადატრიალების ორგანიზებისთვის ძალადობის, დარბევის, ხანძრის გაჩენის, საკუთრების განადგურების, იარაღის და ფეთქებადი საშუალებების, გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლების წინააღმდეგ შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის ჩათვლით. თუმცა დანაშაულებრივი ქმედების შესრულება ვერ მოხერხდა ზემოთხსენებული პირისგან დამოუკიდებლად არსებული გარემოებების გამო. გადაწყვეტილება გამოიცა 2013 წლის 14 თებერვალს, რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტის თავმჯდომარის დაქვემდებარებაში მყოფი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი საქმეების უფროსი გამომძიებლების მიერ და დაადგინა შემდეგი: 2012 წლის დასაწყისში საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი თარგამაძემ და სხვა დაუდგენელმა პირებმა შეიმუშავეს დანაშაულებრივი გეგმა, რომ მოეწყოთ მასობრივი არეულობა რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა ქალაქებში ძალადობის, დარბევის, ხანძრის გაჩენის, საკუთრების განადგურების, იარაღის და ფეთქებადი საშუალებების გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლების წინააღმდეგ შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის ჩათვლით. თავიანთი დანაშაულებრივი გეგმის განხორციელების მიზნით, გიორგი თარგამაძემ და სხვა დაუდგენელმა პირებმა გადაწყვიტეს ეპოვნათ თანამზრახველები რუსეთის ფედერაციის ოპოზიციური მოძრაობის წევრებს შორის. დანაშაულებრივი გეგმის განხორციელების მზადების პერიოდში 2012 წლის იანვარში (ზუსტი თარიღი უცნობია) დაუდგენელ ადგილზე, გიორგი თარგამაძემ და სხვა დაუდგენელმა პირებმა მიმართეს ს.ს. უდალცოვს, მოძრაობა "მემარცხენე ფრონტის" ორგანიზატორს, ასევე კ.ვ. ლებედევს და ლ.ვ. რაზვოჟაევს შეთავაზებით, რომ მოეწყოთ მასობრივი არეულობა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე და დაჰპირდნენ ფინანსურ დახმარებას ამ დანაშაულებრივი ქმედების ჩასადენად. ამის შემდეგ ს.ს. უდალცოვმა, კ.ვ. ლებედევმა და ლ.ვ. რაზვოჟაევმა შეიმუშავეს დანაშაულებრივი გეგმა, რომ მოეწყოთ მასობრივი არეულობა რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა ქალაქებში ძალადობის, დარბევის, ხანძრის გაჩენის, საკუთრების განადგურების, იარაღისა და ფეთქებადი საშუალებების გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლების წინააღმდეგ შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის ჩათვლით.

2013 წლის 19 მარტს გიორგი თარგამაძე გამოცხადდა ლიტვის რესპუბლიკის მთავარ პროკურატურაში და შემოიტანა განაცხადი, სადაც ის ხსნიდა, რომ ლიტვის რესპუბლიკაში მისი ვიზიტის დროს მასმედიის საშუალებით შეიტყო, რომ მასზე საერთაშორისო ძებნა იყო გამოცხადებული ინტერპოლის არხების საშუალებით, რუსეთის ფედერაციის სამართალდამცავი ორგანოების მიერ მის მიმართ გამოცხადებული სისხლის სამართლებრივი დევნის გამო და აცხადებდა, რომ ეს სისხლის სამართლებრივი დევნა განპირობებული იყო პოლიტიკური მიზეზებით, რომელიც საქართველოს პარლამენტში მის საქმიანობას უკავშირდებოდა.

იგი იყო საქართველოს პარლამენტის წევრი 2003 წლიდან, ამასთან 2003-2012წლებში იყო საქართველოს პარლამენტის თავ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# თეა თუთბერიძე: „მერაბიშვილსა და „ქართულ ოცნებას“ შორის გარიგება შედგა“

შორენა გონგლაძე



**თავისუფლებისა და დემოკრატიის განვითარების ინსტიტუტის ხელმძღვანელი თეა თუთბერიძე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალურ მდივან ვანო მერაბიშვილს „ქართულ ოცნებასთან“ გარიგებაში ადანაშაულებს.**

როგორც თუთბერიძემ „პირველი რადიოს“ პრესკლუბში სტუმრობისას განაცხადა, მერაბიშვილის განცხადებები პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებზე ლოიალურია.

— ის ან ვერ ხედავს საფრთხეებს, ან აქვს რაღაცა ისეთი, რის გამოც ვერ ახერხებს, ივანიშვილის ანტისახელმწიფოებრივ განცხადებებს ადეკვატურად დაუპირისპირდეს, — განაცხადა თუთბერიძემ და ამის მაგალითად პრემიერის მიერ ლაფანყურის სპეცოპერაციასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებები მოიყვანა და აღნიშნა, რომ მერაბიშვილს ამაზე ადეკვატური შეფასებები არ გაუკეთებია.

თუთბერიძე საკუთარი ვერსიის გამყარებას ივანიშვილ-მერაბიშვილის მეგობრობაზე სხვადასხვა ფაქტის მოყვანით ცდილობს. ობიექტურობისთვის აუცილებელია გავიხსენოთ ის, რომ ივანიშვილი პოლიტიკაში გამოჩენის პირველივე დღეებიდან აქტიურად აკეთებდა განცხადებებს მერაბიშვილის „წესიერებასა და მის პროფესიონალიზმზე, „ჩემი ვანო“ — არც ამ გულთბილი მიმართვის ფორმის დავიწყება შეიძლება, რაც საკმაოდ ხშირად გაისმოდა ივანიშვილის მხრიდან. გაუმართლა თუ არა ივანიშვილს „ჩემმა ვანომ“ იმედები და შედგა თუ არა მათ შორის კოჰაბიტაცია, ამის მტკიცება ამ ეტაპზე არ შეიძლება, მაგრამ ფაქტია, რომ ვანო მერაბიშვილის განცხადებებიდან ამ ხნის მანძილზე ივანიშვილის მისამართით არც ერთი უხეში მიმართვა და ცილისწამება არ ყოფილა. სხვათა შორის, წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ივანიშვილის „ქართულ ოცნებას“ თუნდაც გზებზე გადაადგილების თვალსაზრისით სერიოზული პრობლემები არ შეჰქმნია, რაც, დამეთანხმებით, სურვილის შემთხვევაში მერაბიშვილისთვის ძალიან მარტივი იყო. ამის მიუხედავად, ასეთი რამ არ ყოფილა.

თუთბერიძის თქმით, მერაბიშვილსა და „ქართულ ოცნებას“ შორის გარიგება ნათელი გახდა საკონსტიტუციო ცვლილებების დროს, როდესაც ივანიშვილის ამბობდა, რომ ცვლილებები 120 ხმით გავიდოდა მაშინ, როდესაც ოფიციალური მოლაპარაკებები ამ საკითხზე „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის არ მიმდინარეობდა.

რაც შეეხება ბაჩო ახალაიას, თუთბერიძე კიდევ ერთხელ ამბობს, რომ ახალაიები სააკაშვილსა და მერაბიშვილს შორის დაპირისპირებას შეეწირნენ.

— ახალაიები სააკაშვილის მთავარი დასაყრდენი იყვნენ და ამისთვის ისჯებიან. ეს გამოჩნდა არჩევნებამდე რამდენიმე ხნით ადრე, როდესაც სააკაშვილმა გადაწყვიტა, მერაბიშვილი ძალოვანი უწყების კონტროლისთვის ჩამოეცილებინა და პრემიერ-მინისტრად გადაეყვანა. მართალია, თავდაცვის მინისტრად მერაბიშვილის კადრი, შაშკინი, დაინიშნა, მაგრამ მისი მოადგილის პოსტი დათა ახალაიამ დაიკავა, — განაცხადა თუთბერიძემ.

მისივე თქმით, 6 თვეზე მეტი გავიდა, რაც ბაჩო ახალაია დაკავებულია და მერაბიშვილს მის დასაცავად ერთი განცხადებაც არ გაუკეთებია, უფრო მეტიც, მისმა ყოფილმა მოადგილემ ჩვენება ახალაიას წინააღმდეგ მისცა, რაც, თუთბერიძის აზრით, ბევრ რამეზე მეტყველებს.

# ივანიშვილი შრომის კოდექსთან დაკავშირებით მარგველაშვილის პოზიციას ეთანხმება



პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი შრომის კოდექსთან დაკავშირებით ვიცე-პრემიერ გიორგი მარგველაშვილის პოზიციას ეთანხმება.

როგორც ივანიშვილმა ბათუმში, აჭარის უმაღლეს საბჭოში შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, დაქირავებულს უნდა ჰქონდეს უფლებები, მაგრამ ინვესტორს არ უნდა დაეკარგოს საქართველოში შემოსვლის მადა.

„მარგველაშვილის განცხადებას მე ვიზიარებ თავიდან ბოლომდე. შრომის კოდექსის შემოღებაზე ინიციატორები ვიყავით ძალიან ბევრნი და ერთ-ერთი მეც გახლდით. ის, რაც არსებობდა წინა ხელისუფლების პირობებში, იყო საშინელება. დაქირავებულს პრაქტიკულად არავითარი უფლებები არ გააჩნდა. მეორე მხარეს ვიცით ყოველთვის გადახრა, როცა რაიმე არ გვაქვს და მერე საშუალება გვაქვს. მგონი, ეს მოხდა პირველი მოსმენის შემთხვევაში განხილულ კანონპროექტთან დაკავშირებით, რომ გადაჭარბებულად მეტი უფლებები მისცეს. მეტი უფლებები არ არსებობს დაქირავებულზე. პრინციპში ნორმალურია, ნებისმიერი უფლება დაქირავებულს შეიძლება მივცეთ, მაგრამ ჩვენ რეალობა არ უნდა დავკარგოთ და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველაზე დიდი უსამართლობა, რაც სუფევს საქართველოში არის ის, რომ საქართველოში მოსახლეობას არ შეუძლია სამუშაო ადგილების შოვნა. ტოტალური უმუშევრობა არის ყველაზე დიდი უსამართლობა და ყველაზე დიდი პრობლემა საქართველოში. დასაქმება შეუძლია ინვესტორს, შეუძლია ბიზნესს. ამიტომ, დღეს ჩვენ თუ მოვახერხეთ გადავხარეთ მეორე მხარეს და ზედმეტი უფლებები მივეცით დაქირავებულს, უნდა ვიფიქროთ მეორე მხარეზე. ინვესტორს არ უნდა დავუკარგოთ მადა იმისა, რომ შემოვიდეს საქართველოში და ინვესტიციები განახორციელოს“, — აღნიშნა ივანიშვილმა.

მისი თქმით საქართველოს შრომის კოდექსი დაემსგავსება ევროპული ქვეყნების შრომის კოდექსს.

„ჩვენ უნდა მოვახერხოთ და პირველ ეტაპზე ადამიანური პირობები შევუქმნათ დაქირავებულებს, მაგრამ ინვესტორებს ინტერესი არ დავუკარგოთ. პირველი მოსმენით პროექტს, რომელსაც მარგველაშვილი აკრიტიკებს, მე აბსოლუტურად ვეთანხმები და მეც იგივე რეაქციები გავაკეთე და პარლამენტარებთან მქონდა საუბარი, რომ არ შევაშინოთ ინვესტორები. თუ მათ შევაშინებთ, ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ საუკეთესო შრომის კოდექსი, მაგრამ სამუშაო ადგილები არ შეიქმნება და ძირითადი უსამართლობა დარჩება — არ იქნება სამუშაო ადგილები“, — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ გიორგი მარგველაშვილმა რამდენიმე დღის წინ ახალი შრომის კოდექსი როზა ლუქსენბურგის ოცნებას შეადარა და განაცხადა, რომ ახალი შრომის კოდექსის თანახმად დამქირავებელი ველარ „გაჭაჭანდება“.

მედიანიუსი

## საქართველოს პრემიერ-მინისტრი აჭარის უმაღლეს საბჭოს სტუმრობდა

გუშინ ბიძინა ივანიშვილმა აჭარის უმაღლეს საბჭოში შეხვედრა გამართა. შეხვედრას უმაღლესი საბჭოს დეპუტატების გარდა, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძე, პარლამენტის ვიცე-სპიკერი მურმან დუმბაძე და პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელი მდივანი არმაზ ახვლედიანი დაესწრნენ.

შეხვედრაზე განიხილეს ის კანონპროექტები, რომელთა განხორციელებასაც აჭარის რეგიონში იგეგმება. პრემიერ-მინისტრმა სურვილი გამოთქვა, რომ მსგავსი ფორმატის შეხვედრა თვეში ერთხელ გაიმართოს.

შეხვედრის დასრულების შემდეგ პრემიერმა ჟურნალისტებისთვის კომენტარი გააკეთა და მათ შეკითხვებს უპასუხა.

მედიანიუსი

## ცესკომ საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი მოამზადა

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი მოამზადა. ცესკომ პარლამენტის საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ინტერფრაქციულ ჯგუფს საარჩევნო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ პროექტი წარუდგინა.

პროექტი საარჩევნო კანონმდებლობაში შესატან რამდენიმე ცვლილებას და დამატებას მოიცავს, რომელთა აუცილებლობაც მიმდინარე წლის 27 აპრილის პარლამენტის შუალედური არჩევნებისას წარმოქმნილი ხარვეზების გამო გამოიკვეთა.

ცესკოს მიერ წარდგენილ დოკუმენტში ცვლილებები და დამატებები რამდენიმე მიმართულებით არის ასახული, მათ შორის წინასაარჩევნო აგიტაციასთან და ძალოვანი უწყებების საჯარო მოხელეების საარჩევნო უბანზე ან უბნის სიახლოვეს ყოფნასთან დაკავშირებით. კერძოდ, წარმოდგენილი ცვლილებებით, საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს, გარდა კენჭისყრის დღისა, გამოიწვიოს ან/და შეცვალოს თავისი წარმომადგენელი, რის თაობაზედაც უნდა აცნობოს შესაბამის საარჩევნო კომისიას.

მედიანიუსი

## თბილისში ბოლო 3 დღის განმავლობაში სასმელით 254 ადამიანი მოიწამლა

თბილისში ბოლო 3 დღის განმავლობაში სასმელით 254 ადამიანი მოიწამლა თბილისში, აღდგომის დღესასწაულებთან დაკავშირებით, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში ალკოჰოლური სასმელების ინტოქსიკაციის 254 გამოძახება დაფიქსირდა, — ამის შესახებ „ივერონს“ სასწრაფო სამედიცინო ცენტრის პიარ-მენეჯერმა ნინო სამადაშვილმა განუცხადა.

მისი თქმით, ალკოჰოლური სასმელების ინტოქსიკაციით სასწრაფოს ცენტრში 4 მაისს 57 გამოძახება აღინიშნა, 5 მაისს– 86, ხოლო 6 მაისს (გიორგობის დღეს) – 111.

სამადაშვილის ინფორმაციით, სამი დღის განმავლობაში დაფიქსირებულ 254 შემთხვევიდან, ნაწილი პაციენტებისა დედაქალაქის სხვადასხვა კლინიკებში გადაიყვანეს, ნაწილს კი სასწრაფოს ექიმებმა სამედიცინო დახმარება ადგილზევე აღმოუჩინეს.

ივერონი

## საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი სოფო მოსიძე გახდა



საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურმა დირექტორმა გიორგი ბარათაშვილმა ამ თანამდებობაზე სოფო მოსიძე წარადგინა. როგორც ბარათაშვილმა აღნიშნა მოსიძე ამ კანდიდატურაზე ყველაზე კომპეტენტური კადრი იყო.

როგორც ახალმა ხელმძღვანელმა განაცხადა საზოგადოებრივ მაუწყებელში იგი საკადრო წმენდას არ აპირებს და საზოგადოებრივ მაუწყებელში ხელმძღვანელობის მხრიდან სარედაქციო სამუშაოებში ჩარევა არ მოხდება.

ივერონი

# „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში გია მურღულიას ლექსების განხილვა გაიმართა

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში გია მურღულიას „საღამოს ლექსების“ განხილვა გაიმართა. როგორც „ჩვენი მწერლობის“ მთავარმა რედაქტორმა როსტომ ჩხეიძემ განაცხადა, ვინც გაიგებდა, გია მურღულიამ ლექსების წერა დაიწყოო, იფიქრებდა, რომ მისი მეცნიერული ნაშრომების მსგავსად, ისინიც ინტელექტუალური, ანალიტიკური, მედიტაციური ყაიდისა იქნებოდა.

„მაგრამ ეს არის ლირიკული პოეზია, რომელიც ჩვენს რეალობაში ძალიანაა მინავლებული. ავტორისათვის უმთავრესია სატრფიალო მოტივი –– სწორედ ისე, როგორც ეს ლირიკისთვის არის ნიშანდობლივი. მისი ლექსები შესაფერისად გასააზრებელია და თავისი ადგილი აქვს მისაჩენი“, –– აღნიშნა როსტომ ჩხეიძემ და დასძინა, რომ თემურ ქორიძის მოხსენება „საღამოს ლექსებზე“ მალე ცალკე სტატიად გამოქვეყნდება.

როგორც თავად გია მურღულიამ განაცხადა, მას ერთ მშვენიერ დღეს „მოეგუნება და აზრი გარითმა“. დღის ბოლოს კი მათ საღამოს ლექსები დაარქვა.

„ყოველთვის მომწონდა უბრალოება. უბრალოების ესთეტიკა ესთეტიკის ესთეტიკაა. მიყვარს ყველაფრის სიმშვიდით გამოხატვა, მაგრამ ეს სიმშვიდე უძრაობა არ არის. ჰარმონია მიყვარს. პროფესიის გამო ძველი ლიტერატურის კითხვა ხშირად მიწევს. ის სიმშვიდე, რაც იქიდან მოდის, 21-ე საუკუნის აჩქარებული რიტმით მცხოვრები ადამიანისათვის ძალიან მნიშვნელოვანია“, — აღნიშნა გია მურღულიამ და დამსწრეებს თავდაპირველად სწორედ ამ განცდით დაწერილი ლექსები წაუკითხა.

აქვე გია მურღულიამ მორიდებით შენიშნა, როცა ბატონი როსტომ ჩხეიძე სიტყვით გამოდიოდა, მეგონა, ჩემზე კი არა, სხვა კაცზე ლაპარაკობდაო.

როგორც პროფესორმა მაია ჯალიაშვილმა განაცხად, გია მურღულიას ლექსები საკმაოდ სერიოზულია. მომხსენებლის თქმითვე, მას არ გაჰკვირვებია ის, რომ გია მურღულიამ ლექსების წერა დაიწყო.

„ის ძალიან პოეტური ბუნების ადამიანია, რაც მის ყოველ გამოსვლაში ძალიან კარგად ჩანს. იგი გრძნობს სიტყვის ფერს, სურნელს. ამიტომაც არის ისინი დამუხტული არამარტო ზედაპირულად, არამედ შინაარსითაც. გია მურღულია ლექსს აღიქვამს, როგორც მხსნელს“, –– აღნიშნა მაია ჯალიაშვილმა და დასძინა, რომ გია მურღულიას პოეზიაში ნეოლოგიზმებიც იპყრობს ყურადღებას.

მისი შეფასებით, ავტორის ლექსებში პოეზიის დიდი სიყვარული იგრძნობა და ის ახერხებს, ქართული პოეზიის მრავალხმოვანებას თავისი ხმაც შეუერთოს. მაია ჯალიაშვილმა გამოსვლა გია მურღულიასადმი ასეთი მიმართვით დაასრულა: „თქვენ ახლა პოეტს თამაშობთ ან პოეტი ხართ ნამდვილი“.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ: დარეჯან კვანჭიანი, ნინო დეკანოიძე, რეზო ესაძე, ლია რუხაძე, სევარიონ ნადირაძემ

მედიანიუსი

# მიხეილ სააკაშვილი: „ჩვენი რეგიონის მომავალი ბედი აქ, აზერბაიჯანში წყდება“



სამხრეთ კავკასიის რეგიონის ბედი დღეს აქ, აზერბაიჯანში წყდება. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბაქოში ვიზიტისას, ჟურნალისტებთან განაცხადა.

„ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, ჩვენი რეგიონის მომავალი ბედი აქ, ბაქოში, აზერბაიჯანში წყდება. ეს არის არა მხოლოდ აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა, არამედ საქართველოსი, უკრაინის, მოლდოვასი და საერთოდ, მთელი პოსტსაბჭოთა სივრცის. ევროპის უსაფრთხოებისა და მთელს მსოფლიოში მშვიდობის ბედი დღეს აქ, ამ რეგიონში, კერძოდ კი, აზერბაიჯანში წყდება“, – განაცხადა პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, რეგიონში არსებობენ ძალები, რომლებიც აზერბაიჯანში დესტაბილიზაციით არიან დაინტერესებულნი და აზერბაიჯანის განვითარების პროცესი მშვიდად ძილის საშუალებას არ აძლევს მათ, ვინც იმპერიალისტურ ამბიციებს ვერ თმობს.

„ეს ნათელია, ჩვენ ეს ჩვენს თავზე, საქართველოშიც ვიგრძენით. ეს ძალები ყოველგვარ ძალისხმევას მიმართავენ, რომ ის პროგრესი, რომელსაც აზერბაიჯანმა მიაღწია, აღარ გაგრძელდეს. წარმატებული აზერბაიჯანი, როგორიც ის ახლაა, საკუთარი დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკით – ეს, რა თქმა უნდა, სრულებით ახალი რეალობაა ასეთი სივრცისთვის“, – აღნიშნა პრეზიდენტმა.

შეგახსენებთ, რომ მიხეილ სააკაშვილი ბაქოში პირველ სამხრეთკავკასიურ ფორუმზე დასასწრებად იმყოფება. ვიზიტის ფარგლებში ის უკვე შეხვდა ქვეყნის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს.

ივერონი

# ზვიად აბესაძე: „მიშას ძმამ და ოქრუაშვილმა ლუდი „ბალტიკა“ წამართვეს“

## როლანდ ახალაია: „მოვა დრო და ყველაფერს ვიტყვი“

ნათია ხურცილავა



თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიასა და მასთან ერთად ბრალდებულების სასამართლო პროცესი საქალაქო სასამართლოში გუშინ დაზარალებულ ზვიად აბესაძის დაკითხვით განახლდა.

როგორც პროკურორმა ირაკლი ნადარეიშვილმა წინა პროცესის დასრულების შემდეგ განაცხადა, პროცესის ოფიციალური გადადების მიზეზი გახდა ის, რომ ერთ-ერთი ბრალდებული – შამათავა შეუძლოდ გახდა და ადვოკატებმა დააყენეს შუამდგომლობა პროცესის გადადებისა იმ მოტივით, რომ სხდომებზე დასწრება ბრალდებულსაც სურდა. პროკურორის თქმით, ექიმებმა უნდა დაადასტურონ, რამდენად შეუძლოდ იყო შამათავა.

საქმე ეხება სამხედრო მოსამსახურეებისთვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების, თავისუფლების აღკვეთის ეპიზოდებსა და ზვიად აბესაძესთან დაკავშირებულ ეპიზოდს, როდესაც მას, პროკურატურის ინფორმაციით, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და თავისუფლება აღუკვეთეს.

ბაჩო ახალაიას, გიგი კალანდაძის და მათთან ერთად ბრალდებულების სასამართლო პროცესზე ერთ-ერთი მთავარი მოწმის ზვიად აბესაძის დაკითხვა გუშინვე დასრულდა.

როგორც ზვიად აბესაძემ სასამართლოზე განაცხადა, მას დაუკავშირდა კუდ-ის თანამშრომელი შალვა ვაშაკიძე და ჩვენების შეცვლის სანაცვლოდ ნახევარი მილიონი დოლარი შესთავაზა.

ზვიად აბესაძის განმარტებით, მან შენიშნა, რომ ვაშაკიძე კამერით იყო აღჭურვილი, რაზეც პოლიციაში განაცხადა, თუმცა მას კამერის ქონა არ დაუმტკიცდა.

აბესაძის თქმით, თანხის გადაცემას ვაშაკიძე საზღვრის გადაკვეთის შემდეგ ჰპირდებოდა.

სასამართლო პროცესზე, ბაჩო ახალაიას ადვოკატები დაინტერესდნენ, იყო თუ არა აბესაძე კუდ-ის აგენტი და იყო თუ არა გაჩეჩილაძის მიტინგზე ჩანერგილი, რაზეც მოწმემ განაცხადა, რომ ის მაშინდელ ოპოზიციას აფინანსებდა, ვინაიდან მთავრობისადმი ნეგატიურად იყო განწყობილი.

სასამართლოზე ასევე ცნობილი გახდა, რომ ზვიად აბესაძე თაღლითობისა და ყაჩაღობისთვის ორჯერ არის ნასამართლევი.

აბესაძემ მის ნასამართლეობის ფაქტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ის უკანონოდ გაასამართლეს და ეს ყველაფერი იმისთვის იყო მიმართული, რომ მისთვის ბიზნესი წაერთმიათ.

დაზარალებულ ზვიად აბესაძის განცხადებით, მას ჩვენების შეცვლის სანაცვლოდ ნახევარი მილიონი დოლარი შესთავაზეს.

აბესაძემ ეს განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოში თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიასა და მასთან ერთად ბრალდებულების პროცესზე ჩვენების მიცემისას გააკეთა.

– როგორც ვიცი, მტკიცებულების არქონის გამო მისი ბრალეულობა არ დადასტურდა, მაგრამ არც ის დადასტურდა, რომ ჩემთვის ეს არ შემოუთავაზებია, – განაცხადა აბესაძემ.

ბაჩო ახალაიას ადვოკატი დაინტერესდა, იყო თუ არა ნასამართლევი აბესაძე ყაჩაღობის ბრალდებით, რაზეც აბესაძემ განაცხადა, რომ იგი 2005 წელს 1995 წელს მომხდარი ყაჩაღობის გამო დაიჭირეს.

– მაშინ ეს იმიტომ მოხდა, რომ ჩემთვის ბიზნესი წაერთმიათ. მიშას ძმამ და ოქრუაშვილმა მე ლუდი „ბალტიკა“ წამართვეს, ასევე სურდათ წყნეთში მიწა წაერთმიათ. ვაპირებ შევიტანო სარჩელი პროკურატურაში იმ პროკურორებისა და გამომძიებლების წინააღმდეგ, ვინც მაშინ ამ საქმეში მონაწილეობდა და მოვითხოვო გამამართლებელი განაჩენი, – აღნიშნა აბესაძემ.

გარდა ამისა, დაცვის მხარე დაინტერესდა, იცნობდა თუ არა ზვიად აბესაძე დავით კუხიანიძეს და იყო თუ არა იგი გოგა ონიანისა და კუხიანიძის აგენტი და გაჩეჩილაძის მიტინგზე ჩანერგილი.

აბესაძის განმარტებით, მას ოპოზიციასთან გარკვეული ურთიერთობები ჰქონდა, მათ აფინანსებდა კიდეც, რის გამოც, აბესაძის თქმით, ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

აბესაძის დაკითხვის შემდეგ დაცვის მხარემ ახალაიას წინააღმდეგ წარმოებული სხვა საქმისა და დღევანდელი ბრალდების გაერთიანების შუამდგომლობა დააყენა, რაც მოსამართლემ არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ საქმეების გაერთიანების შემთხვევაში საქმეზე 7 აგვისტომდე განაჩენის დადგომა შეუძლებელი გახდებოდა.

გუშინ გამართულ სასამართლო პროცესზე აბესაძის მეუღლე, ცირა დოლონაძე დაიკითხა, რომელმაც დეტალურად გაიხსენა 2011 წლის 13 სექტემბერს მომხდარი ინციდენტი.

როგორც ცნობილია, ბრალდებულებს ზვიად აბესაძე სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებასა და თავისუფლების უკანონო აღკვეთაში ადანაშაულებს.

– ამ ყველაფრის შემდეგ ვაპირებდი საქართველოდან წასვლას, რა დროსაც გავიცანი ბაჩო ახალაია და სწორად ამან გადამაწყვეტინა დარჩენა, ეს ადამიანი იყო ომბუდსმენის მოადგილე და მე მისი იმედი მქონდა, რის გამოც მას შვილი მოვანათვლინე, – განაცხადა სასამართლოზე აბესაძემ. ზვიად აბესაძე ახალაიას და კალანდაძეს მისთვის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებაში ადნაშაულებს და ამბობს, რომ ბრალდებულებმა მას თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთეს.

მალხაზ ველიჯანაშვილი, ბაჩო ახალიას ადვოკატი:

– უკვე სხვა მოწმეები იქნებიან მომდევნო სასამართლო პროცესზე გამოძახებული, რომლებსაც თავად ბრალდების მხარე წარმოადგენს და რომლებიც დაკითხულები იქნებიან.

თბილისის საქალაქო სასამართლოში გუშინ გამართულ სასამართლო პროცესს ბაჩო ახალიას მამა როლანდ ახალაიაც ესწრებოდა სხვა ოჯახის წევრებთან ერთად. თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას მამის, დეპუტატ როლანდ ახალაიას განცხადებით, მოვა დრო და თავის დროზე, როცა საჭირო იქნება, ყველაფერს იტყვის.

ეს განცხადება როლანდ ახალაიამ ბაჩო ახალაიასა და მასთან ერთად ბრალდებულების პროცესზე შესვენების დროს განუცხადა.

ჟურნალისტების კითხვაზე – შეიძლება თუ არა, რომ საზოგადოება მისგან ვანო მერაბიშვილზე რაიმე ტიპის განცხადებას ელოდოს? როლანდ ახალაიამ აღნიშნა – მაგას თავის დროზე ვიტყვი.

– რა დროს რას ელოდოს, მაგას ვერ გეტყვით, მაგრამ მოვა დრო და თავის დროზე, როცა საჭირო იქნება, ყველაფერს ვიტყვი, – განაცხადა ახალაიამ.

როლანდ ახალაია ასევე უკმაყოფილოა უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციებით. დეპუტატმა უფლებადამცველ ორგანიზაციებს უსაყვედურა და აღნიშნა, რომ ისინი ბაჩო ახალაიას უფლებებს არ იცავენ.

– უკანონოდ ზის პატიმარი დღემდე და არც ერთი ადამიანი, უფლებადამცველი ორგანიზაცია ხმას არ იღებს. რატომ? ბესელიას მარტო ის პატიმრები ჰყავს დასაცავი, რომლებიც ეჭვმიტანილები იყვნენ ჯაშუშობის ბრალდებით. მათ უფლებებს იცავენ და ბაჩო ახალაიას უფლებებს იმიტომ არ იცავენ, რომ პირადი ინტერესი აქვთ, – განაცხადა ახალაიამ.

# ევროპულ ოჯახში მისასვლელად რთული გზა უნდა გაიაროთ!

ნათია ხურცილავა



ევროკავშირს წელს დაარსებიდან 52 წელი უსრულდება. ევროკავშირის კვირეულისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე საქართველოში ევროკავშირის ელჩმა ფილიპ დიმიტროვმა „დაგვაიმედა“ და გვითხრა, რომ ამ ოჯახში შესასვლელი გზა ია-ვარდით არ არის მოფენილიო.

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ ევროკავშირისკენ მიმავალი გზა საკმაოდ რთული და ეკლიანიაო.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპულ ოჯახში მისასვლელად რთული გზა უნდა გავიაროთ, პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ევროპის კვირეულის გახსნის დროს ფილიპ დიმიტროვმა სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, როდესაც მისი კოლეგები თბილისში ჩამოდიან, ამბობენ, რომ დღეს თბილისი არის უფრო მეტად ევროპული ქალაქი, ვიდრე ევროკავშირის წევრი ზოგიერთი ქალაქი.

ევროკავშირის ელჩის თქმით, ევროპის კვირეულის მსგავსი ღონისძიება, საქართველოს გარდა, მრავალ სხვა ქვეყანაშიც იმართება. რაც შეეხება გამოფენაში ახალგაზრდების ჩართულობას, დიმიტროვის განცხადებით, ეს არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი.

საჯარო ბიბლიოთეკაში ესსების, ფოტოებისა და ნახატების კონკურსში გამარჯვებულები ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა საქართველოში, ფილიპ დიმიტროვმა, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა, ალექსი პეტრიაშვილმა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, დავით ზურაბიშვილმა დააჯილდოვეს.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ალექსი პეტრიაშვილის განცხადებით, საქართველოს მიერ გაწევრიანების სამოქმედო გეგმის (მაპ) მიღება მიმდინარე წელს დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნების წარმატებით ჩატარებაზეც არის დამოკიდებული.

– რეალურად გადაწყვეტილება, თუ რა ფორმით იქნება საქართველო უახლოეს პერიოდში ინტეგრირებული, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მიიღებს. ამაზე პოზიცია ნაკში (ჩრდილოატლანტიკური საბჭო) საქართველოს ვიზიტის მერე, საქართველოში პროცესების მიმდინარეობის გათვალისწინებით, საპრეზიდენტო არჩევნების წარმატებით დასრულების შემდგომ გამოიკვეთება. ამის შემდეგ კონკრეტული გადაწყვეტილება ჩამოყალიბდება, – ამბობს პეტრიაშვილი.

მინისტრის განცხადებით – ნახევრად ხუმრობით შეიძლება, ითქვას, რომ დღეისთვის საქართველოს უკვე ნატო-ში გაწევრიანების სამოქმედო გეგმაზე (მაპ) მეტი ეკუთვნის.

– სერიოზულად რომ ვთქვათ, ჩვენ დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის კუთხით ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯები უნდა გადავდგათ და ეს პროცესი მიმდინარეობს, – აღნიშნა ალექსი პეტრიაშვილმა.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის განცხადებით, საქართველო როგორც პოლიტიკურად, ისე სამართლებრივად, აუცილებლად გახდება ერთიანი ევროპული ოჯახის წევრი, როცა ჩვენ საშინაო დავალებას შევასრულებთ.

ეს განცხადება პეტრიაშვილმა ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ევროპის კვირეულის გახსნაზე სიტყვით გამოსვლისას გააკეთა.

– საქართველო როგორც პოლიტიკურად, ისე სამართლებრივად, აუცილებლად გახდება ერთიანი ევროპული ოჯახის წევრი და ეს მარტო ჩემი ან რომელიმე პოლიტიკური ძალის ამოცანა არაა, ეს წინაპრების ისტორიული მიზანია, რომელსაც ჩვენ მივაღწევთ, როცა საშინაო დავალებას შევასრულებთ. ამის შემდეგ კი აუცილებლად იქნება გადაწყვეტილება მიღებული, მაგრამ საამისოდ 24-საათიანი მუშაობაა საჭირო. ჩვენ დავამტკიცებთ, რომ ჭეშმარიტი ევროპელები ვართ, თუმცა ამას მტკიცება არ სჭირდება, – განაცხადა ალექსი პეტრიაშვილმა.

მინისტრმა ასევე ევროპის კვირეულში ახალგაზრდების ჩართულობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

– თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში დაგეგმილია შეხვედრები სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან, რაც ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე ცნობიერების ასამაღლებლად ძალიან მნიშვნელოვანია, – აღნიშნა პეტრიაშვილმა.

ღონისძიებას ბიბლიოთეკაში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი საქართველოში ფილიპ დიმიტროვი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე დავით ზურაბიშვილი, ნატო-სა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი ელენე გოცაძე და ის ახალგაზრდები ესწრებოდნენ, რომლებიც ღონისძიების ფარგლებში გამართული ფოტოებისა და ნახატების კონკურსში მონაწილეობისთვის საზეიმოდ დააჯილდოვეს.

მინისტრმა კიდევ ერთი კომენტარი გააკეთა ჟურნალისტებთან, მალის საერთაშორისო მისიაში საქართველოს მონაწილეობისთვის მოსამზადებელ სამუშაოებთან დაკავშირებით. უკვე ცნობილია, რომ მოლაპარაკებებზე რამდენიმე მეკავშირე-ოფიცერი გაემგზავრება.

მინისტრის განმარტებით, ვიდრე საქართველო აღნიშნულ მისიაში ჩაერთვება, ჯერ შესაბამისი სამართლებრივი ბაზა უნდა შეიქმნას.

– მალის საერთაშორისო მისიაში საქართველოს მონაწილეობისთვის ჯერ სამართლებრივი ბაზა უნდა შეიქმნას. სწორედ ამ სამართლებრივ ბაზაზე მიმდინარეობს მუშაობა. გარდა ამისა, ყველა დეტალი უნდა განისაზღვროს. ამას უკვე შესაბამისი უწყებები განსაზღვრავენ. პირველ ეტაპზე, სავარაუდოდ, რამდენიმე მეკავშირე-ოფიცერი, სპეციალისტი გაემგზავრება, რომლებიც უკვე ამ ჩართვის პროცესში მონაწილეობას დაიწყებენ. ვადები უახლოეს ხანებში განისაზღვრება. სამართლებრივი ბაზის შექმნის შემდეგ განისაზღვრება რა რაოდენობით, რა ფორმით, რა ვადით იქნება საქართველო ამ ოპერაციაში ჩართული, – განაცხადა პეტრიაშვილმა და დასძინა, რომ ევროკავშირის მანდატით სამშვიდობო მისიაში საქართველოს მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია.

როგორც ცნობილია, მალის საერთაშორისო მისიაში საქართველოს მონაწილეობასთან დაკავშირებით ინიციატივა საგარეო ურთიერთობათა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ქეთრინ ეშტონმა გამოთქვა.

# საქართველოს ელჩმა ლატვიის პრეზიდენტს რწმუნებათა სიგელები გადასცა

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ლატვიის რესპუბლიკაში თეიმურაზ ჯანჯალიამ რწმუნებათა სიგელები ლატვიის პრეზიდენტს ანდრის ბერზინშს გადასცა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრა პრეზიდენტის სასახლეში ჩატარებული ოფიციალური ცერემონიის შემდეგ გაიმართა. ლატვიის პრეზიდენტმა საქართველოს ახალი ელჩის დანიშვნასთან დაკავშირებით კმაყოფილება გამოთქვა და წარმატებები უსურვა მას მომავალ საქმიანობაში. შეხვედრისას საუბარი შეეხო საქართველოსა და ლატვიას შორის ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში თანამშრომლობის ასპექტებს. ასევე აღინიშნა საქართველო-ევროკავშირისა და საქართველო-ნატოს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობა. განსაკუთრებულად ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ მნიშვნელოვანია ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გააქტიურება. ამავე დროს, შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საქართველო ცენტრალური აზიიდან ევროპისაკენ, ენერგო რესურსებისა და ტვირთების გადაზიდვის მხრივ მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყანაა. საუბრისას მხარეები ასევე შეეხნენ კულტურისა და განათლების სფეროში თანამშრომლობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

საქართველოს ელჩმა კიდევ ერთხელ გამოხატა მადლიერება ლატვიის რესპუბლიკის მხარდაჭერასთან დაკავშირებით და მადლობა გადაუხადა ლატვიურ მხარეს თბილი მიღებისათვის.

მედიანიუსი

# ლიტვამ რუსეთს გივი თარგამაძის ექსტრადიციაზე უარი უთხრა

დასაწყისი მე-3 გვერდზე

დაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარე და ამჟამად ამავე კომიტეტის წევრი. გიორგი თარგამაძის მიხედვით, რუსეთის გადაწყვეტილება, დაეწყო მისი სისხლის სამართლებრივი დევნა განპირობებული იყო რუსეთის ხელისუფლების მტრული დამოკიდებულებით მის მიმართ, რუსეთის ხელისუფლებისადმი მისი ოპოზიციური განწყობის გამო როგორც ომამდე ასევე ომის შემდეგ, ასევე სხვადასხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში დემოკრატიულ პროცესებში მისი მონაწილეობის გამო.

ლიტვის კრიმინალური პოლიციის ბიუროს საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების მიერ მოწოდებული ინფორმაციის და 1957 წლის 13 დეკემბრის ექსტრადაციის ევროპული კონვენციის მე-16 მუხლის საფუძველზე, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ გიორგი თარგამაძე პირადად გამოცხადდა ლიტვის რესპუბლიკის მთავარ პროკურატურაში და აცნობა, რომ მასზე საერთაშორისო ძებნა იყო გამოცხადებული, ასევე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს არანაირი მონაცემი, რომ გიორგი თარგამაძე შეიძლება დაიმალოს და იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მისი მონაწილეობა ექსტრადაციის პროცესში, 2013 წლის 19 მარტს პროკურორმა მას დააკისრა იძულების შემდეგი ზომა: ვალდებულება, რომ გამოცხადდეს პერიოდულად პოლიციის განყოფილებაში და წარმოადგინოს ხელწერილი, რომ არ დატოვებს თავის საცხოვრებელს ლიტვაში, სადაც ამჟამად იმყოფება.

2013 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებით, ლიტვის რესუბლიკის მთავარმა პროკურატურამ უარი თქვა საქართველოს მოქალაქე გიორგი თარგამაძის ექსტრადაციაზე რუსეთის ფედერაციისთვის ვინაიდან, ის დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც გიორგი თარგამაძის მიმართ სისხლის სამართლევრივი დევნის დაწყების საფუძველი გახდა შეესაბამება ლიტვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის პირველ პარაგრაფს და 283-ე მუხლის მეორე ნაწილს და არ არის სისხლის სამართლის დანაშაული ლიტვის რესპუბლიკაში. ლიტვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 283-ე მუხლის მეორე ნაწილი ეხება ნაკლებად სერიოზულ დანაშაულს, (ლიტვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 11-ე მუხლის მე-4 ნაწილი), მაშინ როცა ლიტვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, პირს ეკისრება სამართლებრივი ვალდებულება მხოლოდ სერიოზული ან მძიმე დანაშაულის მომზადებისთვის, შესაბამისად ზემოთხსენებული დანაშაულებრივი ქმედებისთვის მომზადება სისხლის სამართლის დანაშაულად არ ითვლება. ლიტვის რესპუბლიკის მთავარი პროკურატურის გადაწყვეტილება დამტკიცებულია (მოწონებულია).

სასამართლოსთვის წარმოდგენილი მონაცემები ამტკიცებს, რომ გიორგი თარგამაძეს, რომელის ექსტრადაციაც მოითხოვა რუსეთის ფედერაციამ მის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების, ბრალი ედება რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის და 212-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით. რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის ეს ნორმები, როგორც გონივრულად განაცხადა ლიტვის რესპუბლიკის მთავარმა პროკურატურამ, შესაბამისობაში მოდის ლიტვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლის პირველ ნაწილთან და 283-ე მუხლის მე-2 ნაწილთან. ლიტვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა წარმოიშობა მხოლოდ სერიოზული ამ მძიმე დანაშაულისვის მზადების შემთხვევაში. ლიტვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 283-ე მუხლის მე-2 პარაგრაფით განსაზღვრული დანაშაული ეხება ნაკლებად სერიოზულ დანაშაულს, რომელიც ლიტვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლის მე-4 პარაგრაფით ისჯება თავისუფლების აღკვეთით არა უმეტეს 6 წელი პატიმრობისა. ამ გარემოებების გათვალისწინებით, მთავარმა პროკურატურამ გონივრულად განაცხადა, რომ ქმედებები, რომლებშიც გიორგი თარგამაძეს ბრალი ედება არ წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს ლიტვის რესპუბლიკაში და 1957 წლის 13 დეკემბრის ექსტრადაციის ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის და ლიტვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის 1-ლი ქვეპუნქტის მიხედვით, მართებულად იქნა გადაწყვეტილი, რომ მისი ექსტრადაცია არ არის შესაძლებელი და უარი ეთქვა რუსეთის ფედერაციის მთავარი პროკურატურისთვის ექსტრადაციის შესახებ მათი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

სასამართლოსთვის მიწოდებული მონაცემების შეფასებისას, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ გიორგი თარაგამაძე შეიძლება იდევნებოდეს რუსეთის ფედერაციაში პოლიტიკური მიზეზებითაც. ეს მტკიცდება ფაქტით, რომ რუსეთის ფედერაციის ინტერპოლის ეროვნული ბიუროს მიერ გიორგი თარგამაძეზე საერთაშორისო ძებნის გამოცხადება ზემოთაღნიშნული დანაშაულებში მონაწილეობის გამო შეწყდა მას შემდეგ, რაც ინეტრპოლის მთავარმა სამდივნომ ცნო, რომ აღნიშნული ძებნა იყო პოლიტიკური მიზეზით და წინააღმდეგობაში მოდიოდა ინტერპოლის კონსტიტუციის მე-3 მუხლთან, რომელიც სასტიკად უკრძალავს ორგანიზაციას პოლიტიკური, სამხედრო, რელიგიური ან რასობრივი ხასიათის საქმეებში რაიმე ტიპის ჩარევას, – ნათქვამია განცხადებაში.

იმავე განცხადებაში წერია, ლიტვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის, 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 1-ლი ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლო იღებს შემდგომ გადაწყვეტილებას: იწონებს ლიტვის რესპუბლიკის მთავარი პროკურატურის მიერ 2013 წლის 15 აპრილს გამოცემულ გადაწყვეტილებას, რომ უარი ეთქვას რუსეთის ფედერაციას საქართველოს მოქალაქის გიორგი თარაგამაძის, დაბადებული 1968 წლის 23 ივლისს საქართველოში, მცხოვრები ქ. თბილისში, საქართველოში, ექსტრადაციაზე მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

# დიდი მეცნიერი, ჩინებული პედაგოგი, ღირსეული მამულიშვილი

## (აკადემიკოს გ.ცინცაძის დაბადების 80 წლისთავის გამო)

**დიდ ქიმიკოს-მეცნიერს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრს (აკადემიკოსს), მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორს, ტარას შევჩენკოს სახ. კიევის ნაციონალური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორს, საქართველოსა და უკრაინის სახელმწიფო პრემიების ლაურეატს, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს, პროფესორ**

**გივი ვასილის ძე ცინცაძეს**

**დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.**

აკადემიკოსი გივი ცინცაძე სახელოვანი ქართული მეცნიერული ინტელიგენციის იმ თაობას მიეკუთვნება, რომელმაც თამამად შემოაბიჯა ქვეყნის სამეცნიერო-პედაგოგიურ ასპარეზზე და მას შემდეგ ათეული წლებია თავდადებით იბრძვის და იღწვის მეცნიერების წინსვლისა და განვითარებისათვის, პროფესიონალური სამეცნიერო და საინჟინრო კადრების მომზადებისათვის. მის მიერ გავლილი ცხოვრების გზა, მისი საერთაშორისო სამეცნიერო ავტორიტეტი, საყოველთაო საზოგადოებრივი აღიარება, სიყვარული და პატივისცემა სამშობლოსათვის გაწეული უზარმაზარი ღვაწლის ჭეშმარიტი დადასტურებაა.



გამოჩენილი მეცნიერის, მოლდოვას მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიკოს მ.ბოლოგას შეფასებით: „პროფ. გ.ცინცაძე ცნობილია როგორც დიდი სპეციალისტი არაორგანული და სტრუქტურული ქიმიის დარგში. მან საფუძველი ჩაუყარა სტრუქტურულ გამოკვლევებს საქართველოში და შემდგომ განავითარა იმ დონემდე, რომ ახლა საზღვარგარეთ მას უწოდებენ „ქართულ სტრუქტურულ სკოლას“, რომლის აღიარებული მამამთავარია აკადემიკოს გივი ცინცაძე. გ.ცინცაძისა და მისი მოწაფეების წარმატებები აღიარებულია მსოფლიოში“. გ.ცინცაძე, როგორც დიდბუნებოვანი მეცნიერი-მკვლევარი და ღირსეული პიროვნება ნამდვილად იმსახურებს ასეთ მაღალ შეფასებას.

მრავალწლიანი დაძაბული და შემოქმედებითი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობით, მის წინაშე დასმულ პრობლემათა გადაწყვეტის ორიგინალური მეთოდების შემუშავებით და მათი მიზანმიმართული გამოყენებით გ.ცინცაძემ დააგროვა უზარმაზარი ექსპერიმენტული მასალა, რომელთა დამუშავებით, მონაცემების გაანალიზებით და განზოგადებით ჩამოაყალიბა დიდმნიშვნელოვანი თეორიული დებულებები და პრაქტიკული რეკომენდაციები, რომლებსაც საეტაპო მნიშვნელობა აქვს ზოგადად ქიმიისათვის, კერძოდ, კი არაორგანული და კოორდინაციული ქიმიის განვითარებისათვის. სწორედ, ამის შესახებ წერდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ზოგადი და არაორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი ნ.ჟავორონკოვი: „გ.ცინცაძის შრომები ფსევდოჰალოგენიდურ ჯგუფებთან ლითონების კოორდინაციული ნაერთების სინთეზისა და კვლევის დარგში ცნობილია მსოფლიოს ყველა ქვეყნის ქიმიკოს-მეცნიერთათვის. გ.ცინცაძე არის მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი მეცნიერი კოორდინაციული ნაერთების ფიზიკური მეთოდებით კვლევის დარგში. გ.ცინცაძე ითვლება მეცნიერული კოორდინაციული ქიმიისა და ბიოარაორგანული ქიმიის ფუძემდებლად საქართველოში“.

მსოფლიო სამეცნიერო პრაქტიკაში აკადემიკოს გივი ცინცაძემ და მისმა მოწაფეებმა პირველებმა შეძლეს ტუტე ლითონებთან ბიოციკლური ბისშარდოვანების, კრაუნეთერებისა და მათი წარმოებულების კოორდინაციული ნაერთების მიღება, რომელიც საფუძვლად დაედო ბისშარდოვანას ნაერთების ფსიქოტროპული აქტივობის ახსნა-გამოკვლევას. მიღებულია, აგრეთვე სხვადასხვა სახის მნიშვნელოვანი ტრანკვილიზატორები, ხელატური ნივთიერებები, ფსიქოსტიმულატორები. მიკვლეულია მათი ფსიქოტროპული აქტივობის ხასიათისა და ტიპის დამოკიდებულების კრიტერიუმები ლითონებისა და ლიგანდების ელექტრონულ კონფიგურაციასა და ნაერთის აღნაგობასთან კავშირში. ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოს კ.იაციმირსკი აღნიშნავდა, რომ „აკად. გ.ცინცაძისა და მისი მოწაფეების შრომები ცნობილია მსოფლიო სამედიცინო სამეცნიერო ცენტრებში – მათ შემოგვთავაზეს რიგი პერსპექტიული სამკურნალო პრეპარატები მედიცინაში გამოყენებისათვის“ გაშიფრულია 100-ზე მეტი მის მიერვე სინთეზირებული კომპლექსნაერთის კრისტალური და მოლეკულური სტრუქტურა, რომელთა უმრავლესობა შესულია კემბრიჯის კრისტალოგრაფიული მონაცემების საერთაშორისო ბანკში. პირველად არის მიკვლეული თიოციანატური ჯგუფების ლითონებთან კოორდინირების სრულიად ახალი ტიპი, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება სამეცნიერო ლიტერატურაში. არ შეიძლება არ დაეთანხმოთ ცნობილი მეცნიერების, ლიტვის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების ა.იევინშისა და ვ.ბანკოვსკის მიერ გამოთქმულ შეფასებას გ.ცინცაძის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ: „ლითონთა კოორდინაციული ნაერთების მოლეკულური და კრისტალური სტრუქტურების დადგენამ, სტრუქტურული იზომერების განსაზღვრის სპექტრალური კრიტერიუმების დამუშავებამ, რენტგენოსტრუქტურულ ანალიზში ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის დანერგვამ და ფართოდ გამოყენებამ, აგრეთვე ქიმიური ანალიზის ახალი მეთოდების დამუშავებისა და კეთილშობილი ლითონების მადნებიდან გამოყოფის დარგში მიღწეულმა შედეგებმა აკად. გ.ცინცაძეს დამსახურებულად მოუტანა საერთაშორისო აღიარება“.

აკადემიკოს გივი ცინცაძის სამეცნიერო შრომების განზოგადებას წარმოადგენს ფუნდამენტური მიმოხილვა მონოგრაფიისა „როდანიდული და სელენოციანატური კოორდინაციული ნაერთების კრისტალოქიმია“, რომელიც დარგის სპეციალისტთა სამაგიდო წიგნად იქცა. ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობს მონოგრაფიები: „ზოგიერთი ლითონის შერეული ფსეფდოჰალოგენიდური და ფსევდოჰალოგენიდო-ჰალოგენიდური ნაერთები“ და „ფსევდოჰალოგენიდების ქიმია“ (თანაავტორებთან ერთად, გერმანულ ენაზე, ბერლინის გამომცემლობა „Veb Deutscher Verlag der Wisseushaften, 1979“), რომელიც იმავე წელს ხელმეორედ გამოიცა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ხოლო 1981 წ. რუსულ ენაზე, კიევში. აღნიშნული მონოგრაფია გამოსცა საერთაშორისო გამომცემლობამ „ELSEVIER“, სახელწოდებით „Chemistry of Pseuduhalides“, Monograph, №21 (ამსტერდამი, ოქსფორდი, ნიუ-იორკი, ტოკიო). აღსანიშნავია, რომ ამ გამოკვლევებმა ფართო გამოყენება და მაღალი შეფასება დაიმსახურა როგორც ყოფილ საბჭოთა, ისე უცხოელი მეცნიერების მიერ (აკად. ნ.ჟავორონკოვი, ვ.სპიცინი, ი.ტანანაევი, ტ.მალინოვსკი, კ.იაციმირსკი, პროფ. ა.გარნოვსკი, კ.ისლაიბი, ჰ.კელერი, ი.ფრიდმანი და სხვ.).

კოორდინაციული ქიმიის სფეროში შესრულებული საეტაპო მნიშვნელობის ორიგინალური ნაშრომების ციკლისათვის – „ფსევდოჰალოგენიდების ქიმია“, 1990 წ., გ.ცინცაძემ, უკრაინელ და გერმანელ მეცნიერებთან ერთად, უკრაინის სახელმწიფო პრემია დაიმსახურა, ხოლო 1998 წ. ქართველ და რუს მეცნიერებთან ერთად, ნაშრომთა ციკლისათვის „ლითონების კოორდინაციული ნაერთები: სინთეზი, აღნაგობა, თვისება“ – მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭა.

აკად. გ.ცინცაძის მრავალწლიანი მეცნიერული მოღვაწეობის შედეგები თავმოყრილია ხუთ ასეულზე მეტ სამეცნიერო ნაშრომში, რომელთა შორის 10 მონოგრაფიაა, 13 სახელმძღვანელო, 20-მდე მეთოდური მითითება, 7 საავტორო მოწმობა და პატენტი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია აკად. გ.ცინცაძის შემოქმედებითი და მიზანმიმართული მოღვაწეობა ახალგაზრდა პერსპექტიული სამეცნიერო კადრების მომზადების საშვილიშვილო საქმეში. მის მიერ აღზრდილია 50-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორი. გ.ცინცაძე 100-მდე სამეცნიერო კონფერენციის, სიმპოზიუმის, ყრილობისა და თათბირის მონაწილეა, რომელთა უმრავლესობის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, თავმჯდომარე და მოადგილე იყო.

ქიმიური მეცნიერების განვითარებაში შეტანილი უდიდესი წვლილისათვის პროფ. გ.ცინცაძე 1983 წ. არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1993 წ. აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად).

გ.ცინცაძის მიზანმიმართული და შედეგებზე ორიენტირებული სამსახური ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ მრავალი ორდენითა და მედლითაა დაფასებული, რომელთა შორის ბოლო პერიოდში აღსანიშნავია „ღირსების ორდენით“ და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდი საბჭოს მიერ „გიორგი ნიკოლაძის“ მედლით დაჯილდოება.

აკადემიკოს გივი ცინცაძის მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტსა და კომპენტეტურობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სულ ახლახანს იგი არჩეულ იქნა (ქართველ ქიმიკოს-მეცნიერთაგან ერთადერთი) ტ.შევჩენკოს სახ. კიევის ნაციონალური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად, რაც მთელი ქართული მეცნიერების დიდმნიშვნელოვანი წარმატება და აღიარებაა, რამეთუ ამავე უნივერსიტეტის საპატიო წევრებსა და დოქტორებს შორის არის სამი ნობელის პრემიის ლაურეატი – ი.მეჩნიკოვი, კოხერი და ვან დერ ვაალსი, აგრეთვე მსოფლიოში ცნობილი ისეთი მეცნიერები, როგორიცაა რუდოლფ ვირხოვი, ლუი პასტერი და სხვ.

გივი ცინცაძის სამეცნიერო შრომებს, მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებს უამრავი მკითხველი ჰყავს ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის სასწავლებლებსა და სამეცნიერო ცენტრებში. მისი რჩეული შრომების ძირითადი შედეგები დიდი ხანია შესულია ელიტარულ სამეცნიერო ცნობარებსა და ენციკლოპედიებში, კემბრიჯის კრისტალოგრაფიული მონაცემების საერთაშორისო ბანკში.

ჩვენ, დიდად მადლიერი მისი მოწაფეები, აკად. გივი ცინცაძეს გულწრფელად ვუსურვებთ ხანგრძლივ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ყოველგვარ ადამიანურ სიკეთეს და შემოქმედებით წარმატებებს პირად ცხოვრებაში, ქვეყნის და ერის საკეთილდღეოდ.

**ასლან ცივაძე** – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ა.ფრუმკინის სახ. ფიზიკური ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში;

**თენგიზ წივწივაძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

# პროტექციონისტული პოლიტიკა ქართული თეატრებისადმი



**119-წლიანი ისტორიის მქონე ჭიათურის დრამატული თეატრი ერთ-ერთი იმ დაწესებულებათაგანია, რომელიც ჭიათურას ურბანულ სახეს აძლევს. 1894 წლის 11 დეკემბერს ,,შავი ქვის მრეწველთა საბჭოს“ თაოსნობით პირველი სპექტაკლი გაიმართა და ამის შემდეგ დრამატულმა თეატრმა მრავალი პრობლემა გადაიტანა. იმ პერსონალმა, რომლის ნაწილიც დღესაც მუშაობს თეატრში, გადაარჩინა ის ტრადიციები და რეპერტუარი, რითაც თავს იწონებს პროვინციული თეატრი.**

**,,ახალი თაობა“ ესაუბრა ჭიათურის დრამატული თეატრის მმართველს, ქალბატონ ნანა წერეთელს.**

როლანდ ხოჯანაშვილი

„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

***–ქალბატონო ნანა, ჭიათურის თეატრი ერთ-ერთი გამორჩეული ისტორიის მქონეა. გაიხსენეთ თეატრის წარსულიდან რომელიმე მნიშვნელოვანი ფაქტი...***

– ძმები დეკანოზიშვილები, აკაკი წერეთელი და არაერთი ინტელიგენტი, რომლებსაც განათლება საზღვარგარეთ ჰქონდა მიღებული, იყვნენ ჩვენი თეატრის სულისჩამდგმელები. ჭიათურას ჰყავდა ძლიერი ტექნიკური ინტელიგენცია, რომელმაც კარგად იცოდა, რომ ქალაქის ჩამოსაყალიბებლად საჭირო იყო თეატრი და ინფრასტრუქტურის მოწყობა. სხვათაშორის, ,,შავი ქვის მრეწველთა საბჭომ“ არა მარტო თეატრი დაარსა, არამედ პირველი ჩოგბურთის კორტებიც საქართველოში სწორედ მათ შექმნეს. რაც შეეხება თეატრის სახელწოდებას, აკაკი წერეთლის სახელობის იმიტომაც გახლავთ, რომ აკაკი და საერთოდ, 60-იანელები დიდ ყურადღებას უთმობდნენ თეატრალური ხელოვნების განვითარებას. 1907 წელს ,,პატარა კახი“ როცა დაიდგა, თურმე თავად აკაკიც დაესწრო სპექტაკლს და ზედმიწევნით ნასიმოვნები დარჩა იმ დეკორაციით, რომელიც ნატურალური სახით დახვდა მაყურებელს (დეკორაციად გამოყენებული იყო მიწა და სიმინდი).

***–ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა ქართულ სახელოვნებო სფეროში თაობათა ცვლის პროცესია, როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი ჭიათურის თეატრში?***

– თაობათა ცვლის პროცესი ყოველთვის მტკივნეულია, თუმცა ჩვენ ამ საკითხის გადაწყვეტა შევძელით დელიკატურად. საქართველოს კინოსა და თეატრის უნივერსიტეტში აღიზარდა 10 კაციანი მიზნობრივი ჯგუფი ჭიათურის თეატრისათვის. ამ 10 მსახიობიდან 8 დღეს ჩვენი შტატიანი თანამშრომელია. სულ 26 შტატიანი მსახიობი გვყავს, მათ შორის ყველაზე უფროსი 75 წლისაა, ხოლო ყველაზე ახალგაზრდა თაობა– 25 წლისა. სამივე თაობის მსახიობები წარმატებულად ახერხებენ თეატრალური ცხოვრების ავანგარდში ყოფნას.

***–რამდენი ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი ემსახურება თეატრის ფუნქციონირებას?***

–ადმინისტრაციაში 6 ადამიანია, ხოლო ტექნიკურ პერსონალთა რაოდენობა 33-ია.

***– როგორია თეატრის ბიუჯეტი და მისი პროცენტული გადანაწილება?***

–თეატრის ამჟამინდელი ბიუჯეტი შარშანდელს 10 ათასით აღემატება და დაახლოებით 300 ათასი ლარია. კომუნალური და სადადგმო ხარჯებზე იხარჯება დაახლოებით 20%, ხოლო სახელფასო ფონდი 80%-ია, მსახიობის ხელფასი დაახლოებით 300 ლარია, რომელსაც ემატება ყოველი როლის შესრულებისათვის 25-35 ლარი.

***– როგორია სპექტაკლებზე დასწრების დინამიკა?***

–სამწუხაროდ, საქართველოში თეატრები არ არის განებივრებული მაყურებელთა სიმრავლით, მაგრამ დრამატული თეატრი არ ემსახურება მასკულტურას და აქიდან გამომდინარე, არც არაფერია გასაკვირველი, თუ დარბაზი სავსე არ დაგხვდებათ. ბილეთის ფასი ხელმისაწვდომია და 2-დან 5 ლარამდე მერყეობს. ჩვენთან სპექტაკლის ნახვა უფასოდ შეუძლიათ სოციალურად დაუცველებს, რომლებსაც მატერიალურად ვერ ვეხმარებით, მაგრამ ესთეტიკური შიმშილობის დაძლევაში ნამდვილად გვერდით ვუდგევართ.

***– სამწუხარო რეალობაა, რომ ახალი თაობის უმეტესობა თეატრს ვერ იცნობს, არ აქვთ ნანახი არცერთი თეატრალური დადგმა, ახორციელებთ რაიმე ღონისძიებას ამის აღმოსაფხვრელად?***

– გვაქვს მჭიდრო კოორდინაცია საგანმანათლებო დაწესებულებებთან, ვცდილობთ ყველა სკოლის მოსწავლემ ნახოს, თუ რა არის ნამდვილი ხელოვნება.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# უნარშეზღუდულთა უფლებების დასაცავად მთავრობა უნდა გააქტიურდეს

მერი ნამორაძე

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დასაცავად სახალხო დამცველი მთავრობას გააქტიურებისკენ მოუწოდებს. სახალხო დამცველმა საქართველოს მთავრობას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით რეკომენდაციებით მიმართა, სადაც მთავრობას სთხოვს, უზრუნველყოს შესაბამისი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული რეგულაციების რევიზია, დახვეწა და განახლება, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ყველა სფეროში მიღებულ იქნას შესაბამისი ზომები მათთვის ფიზიკური გარემოს, ტრანსპორტის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, მათ შორის, ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების, ასევე სხვა, საზოგადოებისათვის ღია ობიექტებისა და მომსახურების თანაბარი მისაწვდომობა როგორც ქალაქის, ასევე სოფლის პირობებში. ამასთან შესაბამისი ორგანოების მიერ მოხდეს სხვადასხვა ნორმატიული აქტით დაწესებული რეგულაციების განხორციელების მონიტორინგი და დაწესებული სანქციების ამოქმედება.

საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობისა და აღნიშნული უფლებების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით წლევანდელი წელი საქართველოში გამოცხადებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის წლად.

საქართველოს სახალხო დამცველი სრულად იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაცია აღნიშნული პირებისათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის გზით უნდა იქნას მიღწეული. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სოციალური ინფრასტრუქტურით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე



პირთა შეუფერხებელი სარგებლობისათვის პირობების შექმნა და არსებული ბარიერების აღმოფხვრა.

როგორც სახალხო დამცველის აპარატში ამბობენ, ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ თანაბარი ხელმისაწვდომობით და მათთვის დადგენილი პირობების შექმნისგან თავის არიდება, ობიექტების დაპროექტებისას და მშენებლობისას აღნიშნულ პირთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებების გაუთვალისწინებლობა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. საკითხის შესწავლამ ცხადჰყო, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით განსაზღვრულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ორგანო, სხვადასხვა ნორმატიული აქტით დაწესებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის შენობა-ნაგებობებისა და საზოგადოებრივი სივრცეების გამოყენების უზრუნველყოფის პირობები, საკითხი დღემდე არ არის სათანადოდ მოგვარებული. შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები მუდმივად აწყდებიან სხვადასხვა სახის ბარიერებს.

# გიორგი წულაძე: ,,აბორტის აკრძალვა დემოგრაფიულ პრობლემას ვერ მოაგვარებს“

მერი ნამორაძე

**საპატრიარქო ქვეყანაში აბორტის აკრძალვის მომხრეა. ამ ინიციატივას სამედიცინო თუ სხვა სამეცნიერო წრეებში ცალსახა მხარდაჭერა არ მოჰყოლია. საზოგადოების დიდი ნაწილი აკრძალვაში გამოსავალსა და დემოგრაფიული პრობლემის გადაჭრის ცალსახა გზას ვერ ხედავს, თუმცა ყველა თანხმდება იმაზე, რომ აბორტი მისასალმებელი არასოდეს ყოფილა და არც იქნება. რამდენად შეიძლება აბორტის აკრძალვამ ქვეყანაში დემოგრაფიული პრობლემა გადაჭრას? ამ თემაზე „ახალი თაობა“ დემოგრაფ გიორგი წულაძეს ესაუბრა.**

***– ბატონო გიორგი, შესაძლებელია თუ არა აბორტის აკრძალვით დემოგრაფიული პრობლემის მოგვარება?***

– არა, დემოგრაფიულ პრობლემას ეს არ მოაგვარებს. ამით არ მოხდება დემოგრაფიული აფეთქება ან შობადობის ამაღლება. მეორე, მე თუ მკითხავთ, სხვადასხვა მოსაზრებით, რაც კაცობრიობამ გაიარა თუნდაც ასი წლის განმავლობაში, ჩვენ არაერთი ქვეყნის მაგალითი გვაქვს, როდესაც აბორტები იქნა აკრძალული და უარყოფითი შედეგის გარდა არაფერი მოუტანია. მიზანშეწონილი არ არის არც სამედიცინო, არც სხვა თვალსაზრისით. ერთია, რომ აბორტი ცუდია, ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ ის უნდა შეიცვალოს რაღაც ალტერნატიული საშუალებებით და არა აკრძალვით, რადგან აკრძალვას კარგი არაფერი მოაქვს.

***– სხვა ქვეყნების გამოცდილება ახსენეთ. კონკრეტულად რა მიიღეს სხვა ქვეყნებმა აბორტის აკრძალვით?***

– შედეგად მიიღეს არალეგალური აბორტების გავრცელება და ნეგატიური შედეგები. საბჭოთა კავშირშიც იყო ერთი პერიოდი აბორტი აკრძალული და არავითარი წესიერი შედეგი არ მოგვცა. მხოლოდ რელიგიური კუთხით თქვა, რომ აბორტი ცუდია და არა მხოლოდ რელიგიური კუთხით, ნებისმიერი ექიმი გეტყვით, რომ აბორტი ცუდია და არ უნდა კეთდებოდეს, მაგრამ რომ აკრძალო, ისიც არ არის სწორი. უნდა შეცვალო სხვა ალტერნატიული საშუალებით.

***– აბორტის ალტერნატივად ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები მოიაზრება. რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევისას თუ ინტერესდებოდნენ დემოგრაფები, ჩვენი საზოგადოება რამდენად იყენებდა ამ საშუალებებს?***

– იყო საკმაოდ სერიოზული კვლევა, უკანასკნელი გახლავთ 2010 წლის მონაცემები. ჩემი აზრით, სასურველი იქნებოდა კონტრაცეფტიული საშუალებები მეტი ინტენსივობით გამოიყენებოდეს, ვიდრე გამოიყენება, ვინაიდან პრაქტიკულად აბორტის საპირისპირე საშუალებაა.

***– კვლევა თუ დაინტერესდა იმით, რატომ ამბობს უარს ჩვენი საზოგადოება კონტრაცეპტივებზე?***

– იცით რაშია საქმე, ყველა ქვეყანამ გაიარა კონტრაცეფტიული რევოლუციის პერიოდი. ვგულისხმობ 50-იან, 60-იან წლებს. არა მარტო საქართველო, საბჭოთა კავშირის ყოფილ ქვეყნებში რაღაც მიზეზით კონტრაცეფციის გავრცელებას პრაქტიკულად არ ჰქონდა ადგილი და ჩვენ აღმოვჩნდით რაღაცნაირად გვერდზე ცივილიზებული ქვეყნებისგან განსხვავებით. ერთბაშად არ ხდება მისი გავრცელება. შეიძლება სადღაც ეს რევოლუციურად მოხდა. ორი გზაა – არასასურველი შვილი აბორტით მოიშორო და მეორე – არასასურველი შვილის ჩასახვა თუ არ გინდა, არჩასახვისთვის უნდა მიიღო ზომები. ჩვენთან, სამწუხაროდ, ცუდი გზით წავედით – არა ჩასახვის საწინააღმდეგო ვარიანტით, არამედ ჩასახული ბავშვის თავიდან მოშორებით. გული გვიწუხს აბორტების სტატისტიკას რომ ვუყურებთ. ჯერ ერთი, ზუსტი სტატისტიკა არ არის, საუბარია 30 ათასზე, რეალურად კი 50 ათასზე მეტი კეთდება და, რა თქმა უნდა, უნდა იკრძალებოდეს, მაგრამ აკრძალვა რომ კარგს არაფერს მოიტანს, დარწმუნებული ვარ. ეს ჩემი მოსაზრებაა. სხვა დემოგრაფს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეს.

***– იუსტიციის მინისტრი მიიჩნევს, რომ კარგი იქნება თუ მშობლებს არ ეცოდინებათ წინასწარ ბავშვის სქესი, რადგან ხშირად გოგონას მოცილება ხდება ვაჟიშვილის მოლოდინში. ამ კუთხით თუ ჩატარებულა კვლევა, რამდენად ხშირია სელექციური აბორტის შემთხვევები?***

– ის, რაც ოფიციალური სტატისტიკიდან გამომდინარეობს, არ შეესაბამება რეალობას იმიტომ, რომ ოფიციალური სტატისტიკა არ არის სრულყოფილი ამ მიმართულებით. ჯერ ბოლომდე უნდა მოგვარდეს რაღაც და მერე ვისაუბროთ პრობლემაზე. სელექციური აბორტები კეთდება, რაც მისასალმებელი არ არის, მაგრამ რა ინტენსივობაზეა აქ საუბარი? მე გამაჩნია უტყუარი მონაცემები, რომ საქართველოში ყველა აბორტს შორის სელექციური აბორტის წილი შეადგენს 1,4 პროცენტს, მეტს არა. ანუ 98% და მეტი კეთდება სხვა მიზეზით, ამიტომ სელექციას ნუ დავაბრალებთ. აზერბაიჯანში სელექციური აბორტი შეადგენს 6 პროცენტს, სომხეთში – 9 პროცენტს. მაშინ, როცა საქართველოში 1,4 პროცენტია. რა თქმა უნდა, ესეც არ არის სასიამოვნო, მაგრამ რეალობა ასეთია. საგანგაშო მაინც არ არის ეს ციფრი.

***– ბატონო გიორგი, დემოგრაფიული აღორძინების ფონდის ინიციატივაზე, მესამე შვილის წახალისების შესახებ, რას იტყვით?***

– თავისთავად, ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ რამდენად რეალურია ეს? არ შეიძლება ყოველგვარ თეორიას ეწინააღმდეგებოდეს ჩვენი სურვილები. დემოგრაფიაში ცნობილი კატეგორიაა ბავშვთა ყოლის მოთხოვნილება. ეს მოთხოვნილება ყალიბდება დაბალ ასაკში. მერე, რა კამპანიაც გინდა აწარმოე, მაინც ნულ შედეგს მიიღებ. იცით რაშია საქმე, ძალიან პატარა შედეგი თუ გინდა მიიღო, ეს სახელმწიფო საიდუმლოებას არ წარმოადგენს, შეიძლება აიღო საფრანგეთის მაგალითი, რომელიც აქტიურ პრონატალისტურ ანუ შობადობის ამაღლებისკენ მიმართულ პოლიტიკას აწარმოებს. ყველა ეს ღონისძიება ცნობილია, მათ შორის საქართველოშიც, რუსთაველის ფონდის მიერ იყო დაფინანსებული დემოგრაფიულ პოლიტიკასთან დაკავშირებული პროექტი და იქაც ჩამოყალიბებულია ყველა ეს ღონისძიება. რაიმე თითიდან რომ არ გამოვწოვოთ, ჯობს ავიღოთ ის, რაც ძალიან კარგად არის ცნობილი. საფრანგეთი 100 წელიწადზე მეტია აწარმოებს დემოგრაფიულ პოლიტიკას. მთელი რიგი ღონისძიებებია. მართალია, უფრო მაღალი შობადობა არ არის საფრანგეთში, ვიდრე საქართველოში, მაგრამ ისეც არ იქნება, დემოგრაფიული პოლიტიკა რომ არ აწარმოოს.

***– ფინანსურ წახალისებაზეა აქცენტი გაკეთებული?***

– არა მარტო ფინანსურზე, სხვა მრავალ საკითხზეა აქცენტი. ბუნებრივია, შვილების დახმარებებზე და ასე შემდეგ, თან არამცირე დახმარებაზეა საუბარი. საფრანგეთში შეიძლება ოჯახმა იშვილოს სხვისი შვილი და მასზე გამოყოფილი დახმარება ეყოფა, ყოველთვიურად რომ შეინახოს თავი ცოლ-ქმარმა. დემოგრაფიული პოლიტიკა ძალიან ძვირადღირებული სიამოვნებაა. მარტო სურვილებსა და პროპაგანდისტულ კამპანიებს არ უკავშირდება. პროპაგანდისტული და მიზნობრივი რაც იყო, იყო პატრიარქის ცნობილი ინიციატივა, მაგრამ ისიც უსასრულოდ არ გაგრძელდება, თუ სახელმწიფომ ხელი არ შეუწყო. სიტყვა ბევრს ნიშნავს, მით უფრო პატრიარქის, მაგრამ იმასაც სჭირდება ხელშეწყობა.

***– სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოში რიცხოვნობით ქალბატონები დაახლოებით 5 პროცენტით სჭარბობენ მამაკაცებს. ეს ტენდენცია დიდი ხანია გრძელდება საქართველოში?***

– საქართველო იმ ქვეყნების რიგს ეკუთვნის, როგორც უმრავლესობა, სადაც საერთო მოსახლეობის რაოდენობაში ქალების წილი სჭარბობს მამაკაცებისას. ძირითადად ასეთი კანონზომიერებაა. არის ქვეყნები, სადაც პირიქითაც არის, მაგრამ იშვიათობაა.

***– ეს ნიშნავს იმას, რომ ქალი მეტი იბადება, ვიდრე მამაკაცი?***

– არა, ჩვეულებრივ, 100 გოგონაზე იბადება 104-დან 107 ბიჭი. საქართველოში ეს ძირითადად იყო 105-106-ის ფარგლებში. სელექციურ აბორტებზე საუბარი იქიდან იწყება, რომ 106-ზე მეტი ან 107-ზე მეტი ხდება ბიჭების რაოდენობა. საქართველოშიც და მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დაბალი ასაკიდან დაწყებული, მაღალ ნებისმიერ ასაკამდე მამაკაცების მოკვდაობის ინტენსივობა უფრო მეტია, ვიდრე ქალების. ჩვილი ასაკიდან ერთ წლამდე, შემდეგ 10-15 წლამდე, 20-30 და ნებისმიერ ასაკში მამაკაცის მოკვდაობის ინტენსივობა აჭარბებს ქალებისას.

# მანანა ბერიკაშვილი ლონდონში წავიდა

ეკა ირემაშვილი



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი ლონდონში წავიდა. მისი გამგზავრების მიზეზი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ ლონდონში დაგეგმილი კულტურული ღონისძიებები გახდა. 6-11 მაისს ლონდონში დაგეგმილია სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, რომელზეც ქართული კულტურა მაქსიმალურად მრავალფეროვნად იქნება წარმოჩენილი.

მანანა ბერიკაშვილთან ერთად ლონდონში გაემგზავრა გურამ ოდიშარიას კიდევ ერთი მოადგილე, ალექსანდრე მარგიშვილი, ასევე მინისტრის მრჩეველი გიორგი გეგეჭკორი. ქართული დელეგაცია ლონდონში ოფიციალური ვიზიტით წავიდა.

6-11 მაისს შექსპირის თეატრ „გლობუსში" კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი 6-ჯერ წარმოადგენს სპექტაკლს „როგორც გენებოთ". საქართველოდან გამგზავრებამდე მარჯანიშვილის თეატრის დასმა 26 აპრილს კიდევ ერთხელ ითამაშა ლევან წულაძის ეს სპექტაკლი. მარჯანიშვილის თეატრისთვის ეს არის ტრიუმფალური დაბრუნდება ლონდონში, შექსპირის გლობუსში.

– 2012 წლის მაისში მარჯანიშვილის თეატრი სპექტაკლით „როგორც გენებოთ" მიწვეული იყო დიდ ბრიტანეთში, ლონდონში, შექსპირის ფესტივალზე „მსოფლიო გლობუსში". ეს ფესტივალი წლის ყველაზე მნიშვნელოვან თეატრალურ მოვლენად არის აღიარებული და მიღებული აქვს თეატრალური ჯილდო „ზი თაიმ აუტ 2012". ამ უნიკალურ ფესტივალში მონაწილე 37 სცენურ ნამუშევარს შორის ერთ-ერთ ყველაზე მომაჯადოებელ და დაუვიწყარ დღესასწაულად „როგორც გენებოთ" დაასახელა როგორც რიგითმა მაყურებელმა, ასევე თეატრის კრიტიკოსებმა. ასე რომ, შექსპირის სამშობლოში, შექსპირის სახლში, გლობუსის თეატრში 6-დან 11 მაისის ჩათვლით მარჯანიშვილის თეატრი გლობუსში ბრუნდება, – აღნიშნავს მარჯანიშვილის თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი თამუნა ლალიაშვილი.

უილიამ შექსპირის „როგორც გენებოთ" რეჟისორმა ლევან წულაძემ დადგა. გაზეთმა „გარდიანმა" ქართველების შექსპირი 5 ვარსკვლავით შეაფასა.

– თუ საქართველოს სხვა თეატრების დონე ოდნავ მაინც უახლოვდება მარჯანიშვილის თეატრისას, მაშინ თეატრის კრიტიკოსის პროფესია ამ ქვეყანაში უდავოდ ყველაზე სანატრელად უნდა მივიჩნიოთ. ამ თეატრის განუმეორებელი წარმოდგენის – „როგორც გენებოთ" – დასასრულს დარბაზი ფეხზე ადგა და დასს ასე მოუწყო ოვაცია, – ასე აფასებს ქართულ სპექტაკლს „გარდიანი".

უილიამ შექსპირის „როგორც გენებოთ" ადაპტირების ავტორია ლაშა ბუღაძე, კომპოზიტორი – ვახტანგ კახიძე, მუსიკალური გამფორმებელი – ზურაბ გაგლოშვილი, ქორეოგრაფი – გიორგი მარღანია, კოსტიუმების მხატვარი – ნინო სურგულაძე, რეჟისორის ასისტენტი – ნინო ჟორჟოლიანი. სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები ონისე ონიანი (ლე ბო), როლანდ ოქროპირიძე (ჩარლი/ამიენსი), ზურაბ ბერიკაშვილი (სილვიუსი), ნიკა კუჭავა (ორლანდო), დავით ხურცილავა (კორინი), ბესო ბარათაშვილი (ჰერცოგი ფრედერიკი/ყოფილი ჰერცოგი), მალხაზ აბულაძე (თაჩსთოუნი), ნიკოლოზ თავაძე (ოლივერი), თამარ ბუხნიკაშვილი (ფებე), ნატა მურვანიძე (ჟაკი), ქეთევან ცხაკაია (ადამი), ქეთევან შათირიშვილი (როზალინდა), ნატო კახიძე (სელია), მანანა კოზაკოვა (ოდრი).

ლევან წულაძის სპექტაკლს ქართველმა მწერალმა ლაშა ბუღაძემ ასეთი შეფასება მისცა:

– შარშან ქართულმა ენამ პირველად გაიჟღერა გლობუსის სცენაზე. 2012 წელს ლონდონის გლობუსის თეატრში 37 ენაზე ამეტყველდა შექსპირი. თუმცა ეს არ იყო თეატრალური ბაბილონი, იქ ყველაფერი დაემორჩილა უილიამ შექსპირს, რადგან იქ ყველაფერი შექსპირის კანონებით, შექსპირის ენით მოქმედებდა. ერთ-ერთი ამ 37 ენიდან ქართული აღმოჩნდა. მარჯანიშვილის თეატრმა გლობუსის სცენაზე წარმოადგინა შექსპირის ყველაზე უფრო უცნაური პიესა „როგორც გენებოთ": ეს არის ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ მტრობენ და იყვარებენ ერთმანეთს ღვიძლი ძმები, როგორ მოულოდნელად იცვლება ადამიანთა ცხოვრება ერთი შეხედვით ამოუცნობი მოვლენების გამო; ეს არის ამბავი ტყეში მიმოფანტული წმინდანების, შეყვარებულების, გარეული მხეცებისა და კაცად გადაცმული თამამი ქალწულების შესახებ. მაშინ, როდესაც ქართველებმა ქართულ ენაზე აამეტყველეს შექსპირი, გლობუსი ერთ დიდ უსიერ ტყედ გადაიქცა, გაჩერდა დრო და აღარაფერი იყო მნიშვნელოვანი, გარდა იმ ამბისა, რომელშიც შექსპირმა შეგვიტყუა, შეგვიტყუა, როგორც ტყეში. ამბობენ, რომ ეს პიესა, ერთი მხრივ, ყველაზე „არაშექსპირული" პიესაა, მეორე მხრივ კი თითქოს შექსპირის ყველა მომდევნო პიესის საწყისია აქ გაბნეული, თითქოს დრამატურგის მომავალ პიესათა ვარიაციაა. აქ აღმოაჩენთ ჰამლეტის ორეულებს, „ზაფხულის ღამის სიზმრის" მელანქოლიურ გმირებსა და პროსპეროს მსგავს იდუმალ, ბრძენ და ნახევრად ღვთაებრივ არსებებს. ეს პიესა ერთდროულად შუა საუკუნეების მისტერიასაც მოგვაგონებს, ქალაქის მოედანზე გათამაშებულ თოჯინურ ბუფონადასაც და ფილოსოფიურ თუ ფსიქოლოგიურ დრამასაც. ამ პიესიდან, როგორც სარკიდან, ისე მოჩანს არისტოფანე, დანტე და, ასე განსაჯეთ, ჩეხოვიცა და ბრეხტიც კი.

ლონდონში ქართული კულტურული პროგრამის ფარგლებში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ხელშეწყობითა და ორგანიზებით ლონდონში, „ვინოპოლის"-ის დარბაზში გაიხსნება გამოფენა „შექსპირი და საქართველო". ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იქნება ქართული სცენოგრაფია შექსპირის თემაზე.

გამოფენის პარალელურად რამდენიმე მომხსენებელი, მათ შორის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი და საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი გიორგი კალანდია საზოგადოებას წარუდგენენ მოხსენებას თემაზე „შექსპირი ქართულ თეატრში" და „შექსპირი ქართულ მხატვრობაში". ამავე დარბაზში შედგება ტრადიციული ქართული ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა, კულტურის სამინისტროს პროგრამის „სუვენირები საქართველოდან" ფარგლებში და ანსამბლ „ურმულის" კონცერტი. მოწვეული სტუმრები ასევე დაესწრებიან ქართული ღვინის დეგუსტაციას. როგორც კულტურის სამინისტროში აღნიშნეს, ქართული დელეგაცია ლონდონიდან 12 ან 13 მაისს დაბრუნდება.

## ზურაბ აბაშიძე ბალტიის ასამბლეის საერთაშორისო კონფერენციაში მიიღებს მონაწილეობას

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, სუამის საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე 8-10 მაისს მონაწილეობას მიიღებს რიგაში დაგეგმილ ბალტიის ასამბლეის საერთაშორისო კონფერენციაში. მისი სახელწოდებაა: ,,თანამშრომლობის ჩამოყალიბება: ბალტიის პასუხი".

როგორც „მედიანიუსს" პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურიდან აცნობეს, აღნიშნული კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ როგორც სუამის და ბალტიის წევრი ქვეყნების პარლამენტების, ისე ბენელუქსის საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენლები.

ზურაბ აბაშიძე სუამის საპარლამენტო ასამბლეის სახელით სიტყვით მიმართავს კონფერენციის მონაწილეებს, სადაც იგი ისაუბრებს სუამისა და ბალტიის საპარლამენტო ასამბლეებს შორის თანამშრომლობის პერსპექტივებსა და სუამის საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს თავმჯდომარეობის პრიორიტეტებზე.

**მედიანიუსი**

# საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში სააღდგომო გამოფენა გაიხსნება

ეკა ირემაშვილი

8 მაისს საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის საგამოფენო დარბაზში სააღდგომო გამოფენა გაიხსნება, რომელზეც ნამუშევრებს ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა წარმოადგენს.

– ეს არის ტრადიციული „სააღდგომო გამოფენა". შეიძლება ითქვას, რომ წლევანდელი გამოფენა საიუბილეოა, რადგან პირველი გამოფენა მოეწყო 1979 წელს სახელით „ბუნება და ძეგლი". „სააღდგომო" კი მას ეწოდა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. წლევანდელი „სააღდგომო გამოფენა" შეადგენს საქართველოს საპატრიარქოს ტრადიციული მუსიკალური ფესტივალის „აღდგომიდან ამაღლებამდე" შემადგენელ ნაწილს. ამიტომ გამოფენა ტარდება ორ ნაწილად: პირველი გაიხსნა კონსერვატორიაში, სადაც წარმოდგენილია „გალერეის" ფონდებში დაცული „სააღდგომო გამოფენის" ნამუშევრები, ხოლო გამოფენის მეორე ნაწილში დღეს მოქმედი ბავშვების ნამუშევრების გამოფენა საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის საგამოფენო დარბაზში 8 მაისს იქნება წარმოდგენილი. კონსერვატორიაში გამოფენა გასტანს 12 მაისამდე, საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში – 16 მაისამდე, – განაცხადა საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენელმა ნათია გოგუაძემ.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილია ბავშვთა ნამუშევრები როგორც თბილისიდან, ისე საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან – ძალისიდან, საჩხერედან, თელავიდან, საგარეჯოდან. გამოფენაში სულ მონაწილეობს 240 ავტორი. ნამუშევრები შესრულებულია სხვადასხვა ტექნიკით, თემატიკა მრავალფეროვანია. რელიგიური თემების გარდა, არის პეიზაჟები, პორტრეტები, ნატურმორტები, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები.

– ამ გამოფენის მიზანია, ბავშვები უკეთ გაეცნონ მართლმადიდებელ რელიგიას, ბიბლიისა და სახარების შინაარსს, ხოლო „გალერეის" თანამშრომლები ყველანაირად ცდილობენ, ქართველი ბავშვების ნიჭი და ხელოვნება გააცნონ ფართო საზოგადოებას და ჩამოსულ სტუმრებს, – აღნიშნა საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენელმა.

საპატრიაქროს ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართა საქველმოქმედო საღამო 2 წლის ზუკა მაკარიძის დასახმარებლად, რომელსაც დაუდგინდა მე-4 სტადიის, თირკმლებზე გადასული ძვლის სარკომა და მას ესაჭიროება სასწრაფო ოპერაცია. ოპერაციისთვის საჭიროა 300 000 ევრო. საღამოში მონაწილეობა მიიღეს პოეტებმა გელა დაიაურმა, მარიამ წიკლაურმა, მაია გონჯილაშვილმა, თეა თაბაგარმა, თორნიკე ნაროზაულმა, ლიკა ოხანაშვილმა, ჯარჯი შუქიაურმა, თემო ჭახნაკიამ, დეკა ნაყეურმა, სოფო ჯიჯელავამ, გიორგი ესიტაშვილმა და მომღერლებმა ბექა ბუჯიაშვილმა, მირანდა მაისურაძემ, ხატია ბურდულმა, მარიამ მჭედლიძემ, ასევე ანსამბლმა „დიდგორმა".

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეამ" და ფაზისის საერო აკადემიამ მოაწყო ცნობილი ქართველი მხატვრის ნიკო ხერკელაძის პერსონალური გამოფენა, რომელიც მიეძღვნა გენიალური ქართველი პოეტის ვაჟა ფშაველას დაბადებიდან 152-ე წლისთავს. ამავე საღამოს შედგა დიდი მოურავის გიორგი სააკაძისადმი მიძღვნილი წიგნის „ცრემლში ნალესი ხმლის" წარდგინება. ლიზი ბუდაღაშვილმა ცენტრში სადებიუტო წიგნის „ფიქრობანას თამაშის" წარდგინებაზე მიიწვია მკითხველი. შეკრებილი საზოგადოებისათვის წიგნის გაცნობის პარალელურად, ლიზი ბუდაღაშვილმა ნახატების გამოფენაც მოაწყო. ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის, საგანმანათლებლო-საგამომცემლო ცენტრ „სპეკალის" მიერ გამოცემული წიგნის „საქართველო – წმინდა მიწა კავკასიაში" წარდგინება კი გასულ კვირას ჩატარდა. გამოცემა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა- თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის აღსაყდრებიდან 35 და დაბადებიდან 80 წლის იუბილეს ეძღვნება.

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● უცხოეთში კვალიფიციური პროფესიონალი ექიმი გთავაზობთ სხეულის კორექციას ვაკუუმ მასაჟის მეთოდით, გამანჯასალებელ, სარელაქსაციო, შოკოლადის მასაჟს. შეიძლება ბინაზე მომსახურებაც. 599 48 66 39; 558 57 68 06

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

# ერთგულები

**დღევანდელ ფეხბურთში უამრავი ფული იხარჯება ამა თუ იმ ტრანსფერში, რის შემდეგაც ესა თუ ის ფეხბურთელი ერთი კლუბიდან მეორე გუნდში გადადის და იქ განაგრძობს კარიერას. თუმცა არსებობს იმ ფეხბურთელთა კატეგორია, რომელთაც მთელი კარიერა ერთ გუნდს შეალიეს. ასეთები მრავლად არ არიან და დღეს სწორედ მათზე გვინდა გესაუბროთ.**

### 1.რაიან გიგზი (მანჩესტერ იუნაიტედი, 1987-დღემდე)

რაიან გიგზი არის ფეხბურთელი, რომელიც 37 წლის გახლავთ და პრემიერლიგის მცველებს მაინც თავგზას უბნევს მახვილგონივრული და გენიალური პასებით.

არ მოგვერიდება და ვიტყვით, რომ გიგზი „მანჩესტერ იუნაიტედის" ისტორიაში, სერ ბობი ჩარლტონთან ერთად, ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა და თან სწორედ ჩარლტონის რეკორდი აქვს გაუმჯობესებული უელსელს – 607 მატჩი პრემიერლიგაში.

### 2.მეთიუ ლე ტისიე (საუთჰემპტონი, 1986-2002)

ესპანური და მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავმა, „ბარსელონას" ნახევარმცველმა ჩავი ერნანდესმა 2010 წელს ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, ჩემი ბავშვობის კერპი მეთიუ ლე ტისიე იყოო.

ტისიე მართლაც ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელი გახლდათ, რომელმაც მოკრძალებულ „საუთჰემპტონში" 540 მატჩი ჩაატარა და 210 გოლს მოუყარა თავი.

### 3.პაოლო მალდინი (მილანი, 1985-2009)

ხუთი ევროპული თასის მფლობელი, იტალიური ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მცველი, რომელიც „მილანის" ისტორიაში ოქროს ასოებითაა ჩაწერილი – საუბარი, რა თქმა უნდა, პაულო მალდინიზე და მის უნიკალურობაზე გვაქვს.

„როსონერის" შემადგენლობაში მალდინიმ 900-ზე მეტი შეხვედრა ჩაატარა და 24 სეზონი გაატარა, ფრანკო ბარეზისთან ერთად კი მილანელთა დაცვა, უბრალოდ, გაუვალი იყო!

ახლა თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მალდინი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრალური მცველია.

### 4.ფრანჩესკო ტოტი (რომა, 1992-დღემდე)

ფრანჩესკო ტოტი „რომას" სული და გულია. ტოტი დღემდე „რომას" რიგებში ირიცხება და „ჯალოროსის" შემადგენლობაში 34 წლის ფრანჩესკომ 600-ზე მეტი მატჩის ჩატარება მოახერხა.

### 5.ნათ ლოფჰაუსი (ბოლტონი, 1946-1960)

1958 წლის ინგლისის ასოციაციის თასის ფინალში „მანჩესტერ იუნაიტედთან" ნათ ლოფჰაუსი „ბოლტონის" კაპიტანი გახლდათ და მანჩესტერელებს გოლიც გაუტანა, რითაც კლუბმა 1929 წლის შემდეგ, პირველად მოიგო ტიტული.

რაც ყველაზე საინტერესოა, ნათმა ინგლისის ნაკრებში 33 შეხვედრა ჩაატარა და 30 გოლი გაიტანა.

### 6.ტონი ადამსი (არსენალი, 1983-2002)

ტონი ადამსმა „არსენალის" შემადგენლობაში დაახლოებით 700 შეხვედრის ჩატარება შეძლო და ის კლუბის ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს დამსახურებულად იკავებს.

მისი 1998 წელს გატანილი გოლი „ევერტონის" კარში კი, ალბათ, „არსენალის" ნებისმიერ ქომაგს ახსოვს და სწორედ მაგ წელს მოიგეს „მეთოფეებმა" პრემიერლიგა.

### 7.ალესანდრო დელ პიერო (იუვენტუსი, 1993-2012)

ალესანდრო დელ პიერო „იუვენტუსის" სული, გული, ლეგენდა, თილისმა და განსაკუთრებული ფეხბურთელია, რომელიც ახლა კარიერას ავსტრალიაში აგრძელებს.

36 წლის დელ პიერომ „ბებერი ქალბატონის" რიგებში 680 შეხვედრა ჩაატარა და გუნდს უამრავი ტიტულის მოხვეჭაში გაუწია ძალიან დიდი დახმარება.

ახლა ავსტრალიაში, იცით, რატომ წავიდა? არ მინდა, ოდესმე „იუვეს" წინააღმდეგ მომიხდეს თამაშიო, რის გამოც ალე ორმაგად დასაფასებელია!

### 8.ჩავი ერნანდესი (ბარსელონა, 1998-დღემდე)

ჩავი ერნანდესი არის ფეხბურთელი, რომელიც ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას" მთავარი დირიჟორია შეტევით ოპერაციებში და, რასაკვირველია, გენიალური პასებითაც გამოირჩევა.

31 წლის ჩავიმ „ბლაუგრანას" ღირსება 500 შეხვედრაში დაიცვა და ეს ციფრი კიდევ საკმაოდ გაიზრდება, სანამ ფეხბურთელი ბუცებს „ლურსმანზე ჩამოკიდებს".

### 9.ფრანკო ბარეზი (მილანი, 1977-1997)

ფრანკო ბარეზის „სან სიროზე" ბრწყინვალე კარიერა ჰქონდა, სადაც გაუვალი კედელივით იდგა დაცვაში.

ბარეზის ყველა ის საჭირო კომპონენტი და თვისება გააჩნდა, რაც მსოფლიოს საუკეთესო მცველს უნდა ჰქონოდა, რომელმაც 700 შეხვედრაზე მეტი ითამაშა, სადაც სამი ჩემპიონთა თასი და ექვსი სკუდეტო მოიგო.

### 10.ტომას შააფი (ვერდერი, 1978-1995)

ბრემენის „ვერდერში" ტომას შააფმა ისედაც დიდი პერიოდი გაატარა, როგორც ფეხბურთელმა და 1999 წლიდან კი გუნდის მთავარი მწვრთნელიც გახლავთ დღემდე.

„ბრემენელი მუსიკოსების" შემადგენლობაში შააფმა ბუნდესლიგა ორჯერ მოიგო, 2004 წელს კი „ვერდერს" „ვერცხლის სინი" უკვე მწვრთნელის რანგში მოუპოვა – ის მართლაც ერთი კლუბის კაცია!

### 11.როჟერიო სენი (სან პაულო, 1992 – დღემდე)

როჟერიო სენი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი უცნაური მეკარეა, რომელსაც „სან პაულოს" რიგებში 950 შეხვედრა აქვს გამართული.

რაც ყველაზე ყურადსაღებია, 38 წლის მეკარე გუნდში ყოველთვის ასრულებს სტანდარტულ სიტუაციებს და შედეგიც სახეზეა – 100 გოლი და თან – მეკარეს!

ასევე უნდა ვთქვათ, რომ ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში 2002 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო, „სან პაულოსთან" ერთად კი ორჯერ იზეიმა კოპა ლიბერტადორესის მოგება.

### 12.ლევ იაშინი (დინამო მოსკოვი, 1947-1971)

კიდევ ერთი მეკარე, რომელზედაც უნდა ვისაუბროთ, რუსი ლევ იაშინი გახლავთ, რომელიც მოსკოვის „დინამოს" ღირსებას საბჭოთა კავშირის პერიოდში იცავდა და რომელიც მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ყველა დროის საუკეთესო მეკარედაა აღიარებული.

საინტერესოა, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში იაშინს ზედიზედ სამ მსოფლიოს ჩემპიონატზე აქვს მონაწილეობა მიღებული – 1958, 1962 და 1966 წლებში.

### 13.პოლ სქოულზი (მანჩესტერ იუნაიტედი, 1994-დღემდე)

პოლ სქოულზი გახლავთ ფეხბურთელი, რომელიც ბუნებამ უდიდესი ტალანტით დააჯილდოვა – მისი მოედნის ხედვა და გენიალური პასები დღემდე ყველას აღფრთოვანებაში მოჰყავს.

ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთმა ნიჭიერმა ნახევარმცველმა გასულ სეზონში კარიერა დაასრულა, თუმცა „იუნაიტედს" ნახევარდაცვის ცენტრში იმდენად გაუჭირდა, რომ 36 წლის ფეხბურთელი კვლავ დაუბრუნდა მოედანს.

### 14.გარი ნევილი (მანჩესტერ იუნაიტედი, 1992-2011)

თანაკლუბელ პოლ სქოულზისგან განსხვავებით, გარი ნევილმა კარიერა რომ დაასრულა, მერე „მანჩესტერში" აღარ დაბრუნებულა.

გარი ნევილი პრემიერლიგის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო მარჯვენა მცველად ითვლება და სრულიად დამსახურებულადაც – გარის მანკუნიანელთა ღირსება 600-ჯერ დაუცავს.

# მანუჩარ მარკოიშვილი: „ნაკრებში ისე უნდა მოვემზადოთ, რომ ყველაფრისთვის მზად ვიყოთ"

ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი წევრი, მანუჩარ მარკოიშვილი, შესანიშნავ სეზონს ატარებს თურქეთში. სტამბოლის „გალათასარაიმ" ევროთასის გათამაშებაში წარმატებას ვერ მიაღწია, თუმცა თურქეთში რეგულარული ჩემპიონატი მოიგო და საჩემპიონო ტიტულსაც უმიზნებს. სეზონის დასრულების შემდეგ მცირე დასვენება და მარკოიშვილი საქართველოს ეროვნულ გუნდთან შეკრებას დაიწყებს. ნაკრებს სექტემბერში სერიოზული გამოცდა ელის – ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ჯგუფში ესპანეთთან, სლოვენიასთან, ხორვატიასთან, პოლონეთთან და ჩეხეთთან მოხვდა.

***– საკმაო ხანი გავიდა, რაც „გალათასარაიში" გადახვედი და ახლა ალბათ ზუსტად შეგიძლია თქვა, მართებული გადაწყვეტილება მიიღე თუ არა გუნდის გამოცვლით.***

– თავიდანვე დარწმუნებული ვიყავი, რომ სწორ გადაწყვეტილებას ვიღებდი, როცა „გალათასარაიში" გადავდიოდი და ახლაც ამ აზრზე ვარ. ერთადერთი უარყოფითი მომენტი „კანტუს" დატოვება იყო. გუნდის წევრებთან, გულშემატკივრებთან ძალიან კარგად ვიყავი და მათთან განშორება გამიჭირდა. „გალათასარაიში" ახალი გარემო, სხვა სტილის სისტემა დამხვდა, რომელთანაც ადაპტაციისთვის დრო დამჭირდა.

***– მალე შეეგუე ახალ სისტემას და რამდენად კმაყოფილი ხარ საკუთარი თამაშით, სტატისტიკით?***

– „გალათასარაიში" რომ გადავდიოდი, არ დამიგეგმავს, საშუალოდ რამდენი ქულა, მოხსნა ან პასი უნდა გამეკეთებინა. არის სხვა მომენტები, უფრო მნიშვნელოვანი სტატისტიკურ მონაგარზე. „კანტუში" ბურთი უმეტესად მე მქონდა, გათამაშებაც მიწევდა. „გალათასარაიში" კი განსხვავებულ სისტემაში აღმოვჩნდი. ამასთან ერთად, თურქეთის ჩემპიონატის მატჩებში ერთ გუნდში მოედანზე მინიმუმ 2 ადგილობრივი კალათბურთელი უნდა იმყოფებოდეს ანუ მოედანზე ერთდროულად 3 უცხოელს შეუძლია ყოფნა და ეს ერთგვარი კონკურენციაა. თავიდან თუ არ წაგივა თამაში, მწვრთნელი იძულებულია, შეგცვალოს. თუმცა ეს პრობლემა მალევე დარეგულირდა და, შემიძლია ვთქვა, რომ გუნდში არსებული სიტუაციით კმაყოფილი ვარ.

***– ევროპულ ასპარეზზე შორს ვერ წახვედით და ალბათ თურქეთის ჩემპიონობას გეგმავთ.***

– ამ ეტაპზე არ იქნება მართებული და პროფესიონალური, რომ ჩემპიონობაზე ვილაპარაკო. მას შემდეგ, რაც ევროთასის პლეი ოფში ვერ გავედით, თავისთავად, მთლიანად თურქეთის ჩემპიონატზე გადავერთეთ და ვცდილობდით, პირველი ადგილი შეგვენარჩუნებინა, რაც მოვახერხეთ და პლეი ოფში ყველა მეტოქესთან მოედნის უპირატესობა გვექნება. ვეცდებით, ის შანსი გამოვიყენოთ, რასაც მოედნის უპირატესობა გვაძლევს. წინ საკმაოდ დაძაბული პლეი ოფის მატჩებია და ჩემპიონობაზე მერე ვისაუბროთ, ფინალში თუ გავალთ. არ მეგონა, ასე ძლიერი თუ იქნებოდა თურქული ლიგა. ევროლიგაში მოასპარეზე კლუბები ყველამ იცის და არც დანარჩენები არიან ხელწამოსაკრავნი.




***– ეროვნულ ნაკრებზე გადავიდეთ. როგორ შეაფასებ იმ ჯგუფს, რომელშიც ევროპის ჩემპიონატზე მოვხვდით და რა შანსები გვაქვს?***

– ჯგუფი რომ ძლიერია, ამაზე ყველანი შეთანხმებულები ვართ. ახლა რთულია იმის თქმა, გავალთ თუ არა. არც იქნება სწორი, სანამ შეკრებაზე არ გადავალთ და მოსამზადებელ პერიოდს არ გავივლით, ჩვენს შანსებზე ვისაუბროთ. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ ფორმაში იქნებიან კალათბურთელები. ერთის თქმა შეიძლება: ზაზა ფაჩულიას გარეშე ძალიან გაგვიჭირდება. იმ დღეს ზაზამ ფეისბუქის გვერდზე დაწერა, 13 წლის შემდეგ პირველად არ ვარ ნაკრებშიო.

***– ფაჩულიას გარეშე თუ გვაქვს წარმატების შანსი?***

– რა თქმა უნდა, ზაზა უდიდესი ძალაა ნაკრებისთვის და მის გარეშე სრულიად განსხვავებულ სიტუაციაში ვიქნებით. წარმატების შანსი ყოველთვის არსებობს, ამის გარეშე აზრი არ ექნებოდა არც შეკრებას და არც ევროპაზე გასვლას. საქართველოს ნაკრებმა დაამტკიცა, რომ რთულ სიტუაციაში შეუძლია მობილიზება, ბრძოლა და შედეგის მიღწევა. ვფიქრობ, ყველა გაითავისებს არსებულ სიტუაციას და მაქსიმუმს გაიღებს.

***– როგორც თქვი, წარმატებას მომზადების დონე განსაზღვრავს და რას იტყვი ჩვენი ნაკრების მოსამზადებელ გეგმაზე?***

– როგორც ყოველთვის, ნაკრებს ამჯერადაც ძალიან კარგი მოსამზადებელი გრაფიკი აქვს. გეგმა ზუსტად არის შედგენილი, პირობებიც კარგი იქნება, სავარაუდოდ, ისეთ ქვეყნებში მოგვიწევს თამაშები და შეკრებები. ისეთ ძლიერ მეტოქეებს ვხვდებით მოსამზადებელ პერიოდში, რომ მათთან სპარინგი აუცილებლად წაგვადგება. ეს შეკრება წინამორბედებისგან განსხვავებული იქნება. ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება ფიზიკურ მომზადებას. ფაჩულიას არყოფნაში კალათბურთელთა გარკვეულ ნაწილს დიდი ხნით მოუწევს თამაში. ევრობასკეტზეც ისეთი გრაფიკია, რომ 6 დღეში 5 მატჩს ვთამაშობთ და თითქმის შეუძლებელია, მოედანზე 35 წუთი იყო და ყველა მატჩი ერთნაირი მობილიზებით ჩაატარო. სწორედ შეუძლებელი უნდა შევძლოთ და მოსამზადებელ პერიოდში ისეთ ფორმაში შევიდეთ, რომ ყველაფრისთვის მზად ვიყოთ. უკვე შეგუებული ვარ, რომ როგორც წინა წლებში, ახლაც 2-3 დღე მექნება დასვენება. ნაკრების ბირთვი ასე ვართ, სეზონის დასრულების შემდეგ მალევე ეროვნულ ნაკრებში გვიწევს შეკრებაზე გადასვლა, თუმცა ეს ჩვენი საქმის ნაწილია და ამისთვის მზად ვარ.

## ფეხბურთი

### ინგლისი. პრემიერლიგა

სანდერლენდი-სტოკი ................... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 36 | 27 | 4 | 5 | 79:37 | 85 |
| 2.სიტი | 35 | 21 | 9 | 5 | 61:31 | 72 |
| 3.ჩელსი | 35 | 20 | 8 | 7 | 69:35 | 68 |
| 4.არსენალი | 36 | 19 | 10 | 7 | 67:36 | 67 |
| 5.ტოტენჰემი | 35 | 19 | 8 | 8 | 61:43 | 65 |
| 6.ევერტონი | 36 | 15 | 15 | 6 | 52:38 | 60 |
| 7.ლივერპული | 36 | 14 | 13 | 9 | 67:42 | 55 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 35 | 14 | 6 | 15 | 48:47 | 48 |
| 9.სუონსი | 35 | 10 | 13 | 12 | 43:44 | 43 |
| 10.ვესტ ჰემი | 36 | 11 | 10 | 15 | 41:49 | 43 |
| 11.სტოკი | 36 | 9 | 14 | 13 | 32:42 | 41 |
| 12.ფულემი | 36 | 10 | 10 | 16 | 46:57 | 40 |
| 13.ასტონ ვილა | 36 | 10 | 10 | 16 | 44:65 | 40 |
| 14.საუთჰემპტონი | 36 | 9 | 12 | 15 | 47:58 | 39 |
| 15.სანდერლენდი | 36 | 9 | 11 | 16 | 40:52 | 38 |
| 16.ნორვიჩი | 36 | 8 | 14 | 14 | 34:56 | 38 |
| 17.ნიუკასლი | 36 | 10 | 8 | 18 | 43:66 | 38 |
| 18.უიგანი | 35 | 9 | 8 | 18 | 42:64 | 35 |
| 19.რედინგი | 36 | 6 | 10 | 20 | 41:67 | 28 |
| 20.ქპრ | 36 | 4 | 13 | 19 | 29:57 | 25 |

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ხეტაფე-სოსიედადი ...................... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 34 | 28 | 4 | 2 | 105:37 | 88 |
| 2.რეალი | 34 | 24 | 5 | 5 | 89:34 | 77 |
| 3.ატლეტიკო | 34 | 21 | 6 | 7 | 58:27 | 69 |
| 4.სოსიედადი | 34 | 16 | 10 | 8 | 62:43 | 58 |
| 5.ვალენსია | 34 | 16 | 8 | 10 | 58:50 | 56 |
| 6.მალაგა | 34 | 15 | 8 | 11 | 47:39 | 53 |
| 7.ბეტისი | 34 | 14 | 7 | 13 | 51:54 | 49 |
| 8.ხეტაფე | 34 | 13 | 8 | 13 | 42:51 | 47 |
| 9.სევილია | 34 | 13 | 7 | 14 | 52:47 | 46 |
| 10.რაიო | 34 | 14 | 4 | 16 | 43:57 | 46 |
| 11.ესპანიოლი | 34 | 11 | 10 | 13 | 42:46 | 43 |
| 12.ლევანტე | 34 | 11 | 8 | 15 | 36:53 | 41 |
| 13.ვალიადოლიდი | 34 | 10 | 10 | 14 | 45:50 | 40 |
| 14.ბილბაო | 34 | 10 | 8 | 16 | 38:60 | 38 |
| 15.გრანადა | 34 | 9 | 8 | 17 | 30:51 | 35 |
| 16.სარაგოსა | 34 | 9 | 6 | 19 | 35:53 | 33 |
| 17.ოსასუნა | 34 | 8 | 9 | 17 | 28:42 | 33 |
| 18.დეპორტივო | 34 | 7 | 11 | 16 | 44:65 | 32 |
| 19.სელტა | 34 | 8 | 7 | 19 | 33:48 | 31 |
| 20.მალიორკა | 34 | 7 | 8 | 19 | 37:68 | 29 |

### იტალია. სერია ბ

სასუოლო-პადოვა ........................ 1:1

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ბრაუნშვაიგი-კოტბუსი ................ 0:0

### საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ნანტი-კლერმონი ......................... 0:1

### პორტუგალია. ა ლიგა

ბენფიკა-ეშტორილი ..................... 1:1

### ჩეხეთი. გამბრინუსლიგა

სიგმა-ტეპლიცე ............................ 0:2

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

რუხი-პიასტი ................................ 1:2

### დანია. სუპერლიგა

ოდენსე-მიდტიულანდი ................. 0:1

### შვედეთი. ალსვენსკა

გეფლე-კალმარი ........................... 1:1

გეფლე-კალმარი ........................... 1:1

ჰეკენი-ბრომაპოიკარნა ................ 1:0

აიკი-გიოტებორგი ........................ 3:1

### ნორვეგია. ტიპელიგა

სტარტი-მიოლდე .......................... 1:1

## შედეგები

### ირლანდია. პრემიერ დივიზიონი

დროჰედა-სტ.პატრიკი ................. 1:2

კორკი-ლიმერიკი .......................... 2:3

სლიგო-დერი ................................ 3:0

შელბურნი-ბრეი ........................... 1:2

შემროკი-დანდალკი ..................... 1:0

### არგენტინა. პრიმერა დივიზიონი

სარანდი-ოლდ ბოიზი .................. 2:0

## კალათბურთი

### ნბა. პლეი ოფები

მაიამი-ჩიკაგო ............................ 86:93

სერიის ანგარიში: ......................... 0:1

სან ანტონიო-გოლდენ სტეიტი 129:127(ოტ)

სერიის ანგარიში: ......................... 1:0

## ჰოკეი

### ნჰლ. პლეი ოფები

ტორონტო-ბოსტონი ..................... 2:5

სერიის ანგარიში: ......................... 1:2

რეინჯერსი-ვაშინგტონი .............. 4:3

სერიის ანგარიში: ......................... 1:2

დეტროიტი-ანაჰაიმი ............. 3:2(ოტ)

სერიის ანგარიში: ......................... 2:2

ლოს ანჯელესი-სენტ ლუისი ........ 4:3

სერიის ანგარიში: ......................... 2:2

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# „ეგარი“ საქართველოში დაბრუნდა

ეკა ირემაშვილი




**ჯგუფი „ეგარი“ რუსეთში ორწლიანი მოღვაწეობის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და ქართველი საზოგადოებისთვის ახალი პროგრამის წარდგენას აპირებს. ქართულ-შვედური ერთობლივი პროექტის ფარგლებში 8-11 მაისს საქართველოში ჯაზისა და ქართული ეთნოჯაზის მოყვარულთათვის კონცერტების ნამდვილი ფეიერვერკი მოეწყობა.**

საქართველოს შვედური ჯაზ-ტრიო „მიუზიკ მიუზიკ მიუზიკ“ და ევროპაში ცნობილი საქსოფონისტი ნილს ბერგი ეწვევა. 8 მაისს კლუბ „ურბანში“ გაიმართება შვედი ჯაზ-შემსრულებლების კონცერტი, სადაც ასევე რამდენიმე ნომერს ჯგუფი „ეგარი“ შეასრულებს. კონცერტის ბოლოს კი საღამოს შვედი დიჯეი და პოპმომღერალი ნინა ნატრი გააგრძელებს.

9 მაისს ამბროლაურის კულტურის სახლში „მიზიკ მიუზიკ მიუზიკ“, ნილს ბერგი, ნინა ნატრი და ჯგუფი „ეგარი“ ერთობლივ კონცერტს გამართავენ, რომლის მხარდამჭერიც რაჭის მუნიციპალიტეტია.

11 მაისს ევგენი მიქელაძის სახელობის საქართველოს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში, ქალაქ თბილისის მერიის კულტურულ ღონისძიებათა ცენტრის მხარდაჭერით, „ევროპის დღესთან“ დაკავშირებით ქართული ეთნო ჯაზ-ჯგუფ „ეგარის“ სოლოკონცერტი გაიმართება. კონცერტში ასევე მონაწილეობას მიიღებენ შვედეთიდან მოწვეული სტუმრები – ჯგუფი „მიზიკ მიუზიკ მიუზიკ“ და ცნობილი საქსოფონისტი ნილს ბერგი. კონცერტზე, ძველ კომპოზიციებთან ერთად, ახალი მუსიკალური ნომრებიც შესრულდება.

ჯგუფი „ეგარი“ საქართველოში სულ ცოტა ხნის წინ დაბრუნა. თითქმის 2 წელი ისინი მოსკოვში მოღვაწეობდნენ. ამ ხნის განმავლობაში საქართველოში მათ კონცერტი არ ჰქონიათ, მოსკოვში კი მრავალი წარმატება ხვდათ წილად.

თბილისში დაგეგმილი კონცერტების სპონსორი ტურისტული კომპანია „გუდ თრეველია“. ღონისძიების მასპინძელი ახალი ქართული რესტორანი „ქართული სახლია“, საქართველოში კონცერტების ორგანიზატორი კი ინოვაციური სტრატეგიების კომპანია „პიარესკოა“. ქართულ-შვედური ერთობლივი პროექტი სამთავრობო სააგენტოს „შვედური ინსტიტუტის“, „შვედეთის მუსიკალური განვითარებისა და მემკვიდრეობის“ ორგანიზაციის ეგიდითა და შვედეთში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით ხორციელდება.

პროექტის პირველ ეტაპზე 22 და 23 მარტს ქართულმა ეთნო ჯაზ-ჯგუფმა „ეგარმა“ შვედეთში – გოტებორგსა და სტოკჰოლმში სოლო კონცერტები გამართა, ასევე გოტებორგის კონსერვატორიაში ჩაატარა სემინარი შვედი სტუდენტებისთვის და მათ ქართული ხალხური საკრავებისა და პოლიფონიური მუსიკის შესახებ უამბო. შვედეთში ქართული ჯგუფის მასპინძელი იყო შვედური ჯაზ-ჯგუფი „მიუზიკ მიუზიკ მიუზიკ“. პროექტის მეორე ეტაპი კი შვედი ჯაზ-შემსრულებლების საქართველოში ჩამოსვლას ითვალისწინებს.

პროექტის ფარგლებში, გარდა დაგეგმილი ღონისძიებებისა, 11 მაისს გაიმართება ვორქშოპი, რომელსაც შვედი მუსიკოსები თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩაატარებენ და სტუდენტებს მუსიკალურ გამცდილებას გაუზიარებენ.

ცნობილი შვედური ჯაზ-ტრიო „მიუზიკ მიუზიკ მიუზიკ“ 2003 წელს დაარსდა. ჯგუფს ჩატარებული აქვს კონცერტები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში – დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია, მექსიკა, ტაილანდი, სამხრეთი აფრიკა, გამოცემული აქვს 6 ალბომი, მონაწილეობს სხვადასხვა მუსიკალურ პროექტებსა და საერთაშორისო ფესტივალებში. ჯგუფი ჯაზის ჟანრში აღიარებულია ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან მუსიკალურ ჯგუფად სკანდინავიაში. ტრიოს მიღებული აქვს მრავალი პრიზი. ჯგუფის წევრები არიან იოსეფ კალერდალი, ფაბიან კალერდალი და მიკაელ ედლუნდი. ფაბიან კალერდალი 2006 წელს დასახელებულ იქნა წლის საუკეთესო ჯაზპიანისტად. ტრიოს წევრები, ამავე დროს, შვედეთში მოღვაწე ქართულ ფოლკლორულ ანსამბლ „დოლურში“ მღერიან. კონცერტში მონაწილეობს ასევე ცნობილი შვედი საქსოფონისტი და კომპოზიტორი ნილს ბერგი. ნილს ბერგი ცნობილი სახეა ევროპულ მუსიკალურ ცხოვრებაში. იგი 2007 წელს შვედეთის საუკეთესო ჯაზმუსიკოსად დაასახელეს. ნილს ბერგი გახლავთ ასევე წევრი სხვადასხვა მუსიკალური ჯგუფებისა.

პროექტში მონაწილეობს შვედი პოპმომღერალი ნინა ნატრი, რომელიც ცნობილი დიჯეია.

ქართულ-შვედური პროექტის განხორციელებამდე ჯგუფმა „ეგარმა“ სამორინე „შანგრი ლაში“ კონცერტი გამართა. ჯგუფის კონცერტთან ერთად შედგა გრანდიოზული გათამაშება, რომლის საპრიზო ფონდია 75.000 აშშ დოლარი. ამ ღონისძიებით დამთავრდა გათამაშებათა სერია საერთო საპრიზო ფონდით 327.000 აშშ დოლარი. ბოლო თვეების განმავლობაში სამორინე „შანგრი ლას“ სტუმრები, რომლებიც თამაშობდნენ მაგიდებზე ან აპარატებზე, იღებდნენ გათამაშების ბილეთებს, რომელთა მეშვეობითაც მათ ეძლეოდათ შანსი, მოეგოთ ფულადი პრიზები ყოველდღიურ, ყოველკვირეულ და ფინალურ გათამაშებაში. მატერიალური პრიზების გარდა, სამორინე „შანგრი ლამ“ სტუმრებისათვის მოამზადა მუსიკალური საჩუქარი – ეთნო-ჯაზური ჯგუფის „ეგარის“ ორი ნაწილისგან შემდგარი სრული კონცერტი. ამ ჯგუფმა მიაღწია პოპულარობას ევროპასა და რუსეთში, როგორც მუსიკალურმა კოლექტივმა, რომელიც ასრულებს ქართულ ნაციონალურ მუსიკას სხვადასხვა კულტურების ეთნიკური და თანამედროვე მელოდიების სიმბიოზში. „ეგარის“ მუსიკა აჯადოებს მსმენელს თავისი სიღრმისეულობით. ძველებური მუსიკალური ინსტრუმენტების – ფანდურის, ჩონგურის, დუდუკის, სტვირის, დოლის ვიბრაცია თანამედროვე სინთეზატორისა და ბას-გიტარის თანხლებით იტაცებს მსმენელს მშვენიერ მოგზაურობაში, ნამდვილი მუსიკალური ხელოვნების სამყაროში.

ჯგუფი „ეგარი“ მონაწილეობდა მოსკოვის 34-ე საერთაშორისო კინოფესტივალის გახსნის ცერემონიაში, საახალწლო კონცერტში მანეჟნაიას მოედანზე მოსკოვში, მართავდა კონცერტებს რუსეთის დედაქალაქის და ასევე ევროპის საუკეთესო ჯაზ-კლუბებში. ამჯერად კი ჯგუფი ორწლიანი საზღვარგარეთული მოღვაწეობის შემდეგ კვალავ სამშობლოში დაბრუნდა და ქართველ მსმენელთან შესახვედრად ემზადება.

# „ჭიათურის მუსიკის აკადემიამ“ დასკვნითი კონცერტი ჩაატარა

ეკა ირემაშვილი

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში ფესტივალის „ჭიათურის მუსიკის აკადემია“ შემაჯამებელი კონცერტი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის სახელმწიფო კამერულმა ორკესტრმა საქართველოს სინფონიეტამ, სოლისტმა ნინო გვეტაძემ (ფორტეპიანო), დირიჟორმა გოგი ჭიჭინაძემ. დასკვნითი კონცერტის პროგრამაში აჟღერდა ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის ნაწარმოებები უვერტიურა „კორეოლანი“, საფორტეპიანო კონცერტი №4 და სიმფონია №4. ფესტივალის თბილისში ჩამოტანამდე ჭიათურის კულტურის ცენტრში გაიმართა „ჭიათურის მუსიკის აკადემიის“ დასკვნითი კონცერტი.

როგორც „ახალ თაობას“ კულტურის სამინისტროდან აცნობეს, 25 აპრილიდან 2 მაისამდე ჭიათურის კულტურის ცენტრში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, გაიმართა კონცერტები და მასტერკლასები 11 სხვადასხვა სპეციალობაში – ჰობოი, კლარნეტი, საყვირი, ვიოლინო, ჩელო, ფორტეპიანო, კონტრაბასი. ფესტივალი „ჭიათურის მუსიკის აკადემია“ უკვე მეოთხე წელია იმართება და მისი მიზანი საქართველოს მასშტაბით კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციაა. ფესტივალი სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდა ნიჭიერ მუსიკოს-შემსრულებლებს აძლევს თვითრეალიზაციის საშუალებას და შანსს, მომავალშიც დაესწრონ მასტერკლასებს და ითანამშრომლონ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში მოღვაწე ქართველ და უცხოელ მაღალი დონის მუსიკოსებთან.

– ფესტივალის მასშტაბი ყოველ წელს იზრდება და, ამასთან ერთად, იზრდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მცხოვრებლების დაინტერესებაც. ფესტივალის მონაწილეები არიან თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი „საქართველოს სინფონიეტა“, ჭიათურის კულტურის ცენტრი, თბილისის ჩასაბერ საკრავთა ფესტივალი, მუსიკოსები როგორც საქართველოდან, ასევე საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ჰოლანდიიდან. მასტერკლასები უტარდებათ სტუდენტებსა და მოსწავლეებს როგორც ჭიათურიდან, ასევე თბილისიდან, ქუთაისიდან, რუსთავიდან, თელავიდან, – აცხადებენ კულტურის სამინისტროში.

საფესტივალო პროგრამაში გაერთიანდა ჭიათურის კულტურის ცენტრის კონცერტი, საქართველოს სინფონიეტას კონცერტი, კამერული ანსამბლების კონცერტი, რეზო კიკნაძე და ბენდი „ჯაზ ანლიმიტედ“, კამერული ანსამბლების კონცერტი, აკადემიის სტუდენტთა კონცერტი და დასკვნითი კონცერტი. ფესტივალში ჩართული არიან პედაგოგები და სოლისტები ვალენტინ ჟუკი (ვიოლინო), ტატო ხარაძე (ალტი), ჰაიკ ბაბაიანი (ჩელო), თამაზ ლომიძე (კონტრაბასი), პაოლო ტაბალიონე (ფლეიტა), გიორგი გვანცელაძე (ჰობოი), ლევან ცხადაძე (კლარნეტი), ზოლთან კოვაჩი (ფაგოტი), ირაკლი ზანდარაშვილი (ვალტორნა), გიორგი შამანაური (საყვირი), ნინო გვეტაძე (ფორტეპიანო), თამარ ლიჩელი (ფორტეპიანო), ნათია ქავთარაძე (ფორტეპიანო), კორნელია ფონ კერსენბროკი (დირიჟორი), გოგი ჭიჭინაძე (დირიჟორი), რეზო კიკნაძე და ჯაზ ბენდი „ჯაზ ანლიმიტედ“.

## მეფე ლებრონი მეოთხედ აღიარეს

ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის (ნბა) რეგულარული სეზონის ყველაზე სასარგებლო მოთამაშედ „მაიამი ჰითის“ ლიდერი ლებრონ ჯეიმსი აღიარეს. ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო კალათბურთელმა 121 შესაძლებლობიდან 120 პირველი ადგილი მიიღო და მეოთხედ მოიპოვა მორის როდოლოფის სახელობის ჯილდო.

– საუკეთესო მოთამაშის ტიტული? ჰო, რა თქმა უნდა, მიხარია, მაგრამ ჩემი მთავარი მიზანი ნბა-ს ჩემპიონობაა! – განაცხადა ჯეიმსმა, რომელმაც წლეულს საუკეთესო სეზონი ჩაატარა. ის თამაშში საშუალოდ 26,8 ქულას, 8 მოხსნას და 7,3 ჩაჭრას ითვლიდა აქტივში, რის წყალობითაც მაიამელებმა რეგულარულ სეზონში ასპარეზობის ისტორიაში საუკეთესო შედეგი აჩვენეს: 66 გამარჯვება და მხოლოდ 16 წაგება.

ლებრონ ჯეიმსი საუკეთესო მოთამაშის მე-4 ტიტულით ლეგენდარულ უილტ ჩემბერლენს გაუთანაბრდა, მათზე ხშირად კი ეს ტიტული მხოლოდ 3 კალათბურთელს მოუგია: ქარიმ-აბდულ ჯაბარს 6-ჯერ, მაიკლ ჯორდანს და ბილ რასელს კი 5-5-ჯერ.

მიმდინარე სეზონში ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა კიდევ ერთი რეკორდი დაამყარა: ნბა-ს ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე შეიქნა, ვინც 20.000-ქულიან ნიშნულს გადააჭარბა. ამას გარდა, რეგულარული სეზონის მიმდინარეობისას აღმოსავლეთ კონფერენციის თვის საუკეთესო მოთამაშის ტიტული 6 შესაძლებლობიდან 5-ჯერ მოიგო!

მ. ჟ.

## ვერიკო ტურაშვილი ვეტერანებისთვის იმღერებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მიაკითხავს ვეტერანს სახლში და მიიყვანს მცხეთაში, სადაც გაიმართება საზეიმო ღონისძიება. მიღების დამთავრებისთანავე კი კვლავ მიაცილებს ვეტერანს სახლამდე. ეს აქცია ხელს შეუწყობს ვეტერანებსა და ახალგაზრდებს შორის თაობათა ცოცხალი კავშირის შენარჩუნებას, – განაცხადა „რუსული კლუბის“ პიარმენეჯერმა ნინო წითლანაძემ.

მისივე თქმით, მიღებას დაესწრებიან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია და სხვა ოფიციალური პირები. საზეიმო კონცერტში, რომელიც გაიმართება ვეტერანებისთვის, იმღერებენ ვერიკო ტურაშვილი, თემო საჯაია და „თეატრალური კვარტეტი“.

– სპეციალურად გამარჯვების დღისთვის „თეატრალურმა კვარტეტმა“, რომლის შემადგენლობაში არიან კობა ჩეფხოძე და ირაკლი აბჟანდაძე (ტენორები), ლაშა კერვალიძე (ბარიტონი), ოთარ კოვზირიძე (ბანი) ჩაწერა სამხედრო სიმღერების აუდიოდისკი სახელწოდებით „ეხ, დაროგი“. დისკში შევიდა თერთმეტი ყველაზე პოპულარული სიმღერა. პროექტი უნიკალურია იმით, რომ პირველად ყველასათვის ნაცნობი დიდი სამამულო ომის დროინდელი სიმღერები შესრულებულია ტრადიციული ქართული მრავალხმიანობით, – აღნიშნა ნინო წითლანაძემ.

საზეიმო მიღების ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, ყველა სტუმარი საჩუქრად მიიღებს დისკს „ეხ, დაროგი“ და ჟურნალ „რუსული კლუბის“ სპეციალურ ნომერს.

– მეორე მსოფლიო ომი ყველაზე მასშტაბური და სისხლისმღვრელი კონფლიქტი იყო კაცობრიობის ისტორიაში. ის დაიწყო გერმანიის თავდასხმით პოლონეთზე 1939 წლის პირველ სექტემბერს. მეორე მსოფლიო ომმა იმსხვერპლა 60 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე. 9 მაისი ფაშიზმზე გამარჯვების დღეა. 1945 წლის 9 მაისს მოსკოვში, წითელ მოედანზე, გაიმართა ამ გამარჯვების აღსანიშნავი სამხედრო აღლუმი. 8 და 9 მაისი გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მეორე მსოფლიო ომის მსხვერპლთა ხსოვნის თარიღად 2004 წელს დააწესა. ევროპამ ფაშიზმზე გამარჯვების დღე 8 მაისს იზეიმა. ცნობილია, რომ უპირობო კაპიტულაციის აქტს 1945 წლის 8 მაისს, ევროპის დროით 22 საათსა და 45 წუთზე მოეწერა ხელი. ამ დროს საბჭოთა დედაქალაქში, მოსკოვში, ასევე საქართველოში, უკვე 9 მაისი იდგა, ამიტომ გამარჯვების დღე პოსტსაბჭოთა სივრცეში 9 მაისს აღინიშნება, – განმარტა ნინო წითლანაძემ.

ეკა ირემაშვილი

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. იტალიის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ფეხბურთელთა გუნდების მეკარე; 2. ქალების საცხოვრებელი განცალკევებული სადგომი მუსლიმანურ სახლებში; 3. წყალსა და წებოში განზავებული სახატავი საღებავი; 5. ფასიანი ქაღალდების კურსის აწევა ნომინალურ ღირებულებასთან შეფარდებით; 6. ქართლში გავრცელებული თეთრყურძნივანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 8. თვალის კაკლის გარეთა თეთრი გარსი; 11. ოლქი ირანში; 13. „სამი მუშკეტერის“ პერსონაჟი; 14. ძლიერმომქმედი ნარკოტიკი; 15. ოჩამჩირეს ძველბერძნული სახელწოდება; 19. მარადმწვანე ხვიარა, მცოცავი მცენარე.

**თარაზულად**: 1. გერმანიის პარლამენტი; 4. მთიანეთი აშშ-ში; 7. მოკლე დისტანციებზე მოასპარეზე სადოლე ცხენი; 9. კოქტეილის მოსამზადებელი ჭურჭელი; 10. ცნობილი ფრანგი კარიკატურისტი; 12. აშშ-ში გავრცელებული ფართოფარფლებიანი შლაპა; 16. ასტრიდ ლინდგრენის ნაწარმოების პოპულარული პერსონაჟი; 17. პნევმატური მოწყობილობა ჭაბურღილზე; წყლის, ნავთობის ამოსაქაჩად; 18. ფრანგული ვაშლის არაყი; 20. მზის სისტემის პლანეტა; 21. კოლოს ძველი ქართული სახელწოდება; 22. პოპულარული ირლანდიური ჯინი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კურტაჟი; 2. ლაკმუსი; 3. კინეტიკა; 4. დოფინი; 5. ჰერმესი; 8. ღირსება; 9. დეპუტატი; 12. მჭედლიძე; 13. ხილნარი; 16. დინასტია; 17. წაღვერი; 19. „სპარტა“; 20. დიდუბე.

**თარაზულად:** 6. ფუქსავატი; 7. ბოცვერი; 8. ლვენთი; 10. ხართუმი; 11. პელე; 14. ფრანკები; 15. დეპრესია; 18. მიქლიო; 21. პარმალი; 22. დიჯეი; 23. არეუნა; 24. ლაფონტენი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. „ტვიში“; 2. „სტელა“; 3. ანორაკი; 4. კობე; 5. წეკო; 6. სტაიერი; 9. საკანდელიძე; 10. აშპაშხანა; 11. ბუკინგემი; 14. სოპკა; 16. ჩეიზი; 18. სეინერი; 20. სორბიტი; 23. რადა; 24. სარკე; 25. სტეპი; 26. ბოტი.

**თარაზულად:** 7. ონტოლოგია; 8. რეზერვატი; 12. მარში; 13. მურეი; 15. შხარა; 17. პარადოქსი; 19. მალტა; 21. ლიანა; 22. ამური; 27. „ტრუბადური“; 28. ბეტონიტი.

# რამზან კადიროვი: „ძმები ცარნაევები საქართველოში მომზადებული შაითანები არიან“



ჩეჩნეთის მეთაური რამზან კადიროვი ბოსტონში ტერაქტის მომწყობი ძმები ცარნაევების გამოქომაგებას არ აპირებს. ეს განცხადება კადიროვმა გროზნოში მოწყობილ თათბირზე გააკეთა და ცარნაევებს „საქართველოში მომზადებაგავლილი შაითანები“ უწოდა.

„ძმებმა ცარნაევებმა დანაშაული ჩაიდინეს და საკადრისი მიიღეს. მე ბევრ ადამიანი მწერს „ფეისბუკში“, „ტვიტერში“ და მეკითხება: რატომ არ ვეხმარებით ძმებ ცარნაევებს? მე შევისწავლე ამ ძმებთან დაკავშირებული ინფორმაცია და მიმაჩნია, რომ მათ ის მიიღეს რასაც ეძებდდნენ. მე მათ „შაითანებს“ ვუწოდებ. ისინი ბოლო შაითანები არიან. კიდევ კარგი მათ კიდევ უფრო მასშტაბური რამის მოწყობა ვერ მოასწრეს“, – განაცხადა რამზან კადიროვმა.

ამას გარდა, თათბირზე კადიროვმა არ გამორიცხა, რომ ძმებმა მომზადება საქართველოსა და თურქეთში გაიარეს.

„ადამიანები, რომლებიც მათ კარგად იცნობდდნენ ამბობენ, რომ ისინი ყველაფერზე იყვნენ წამსვლელნი. ამიტომაც მე არ ვაპირებ მათ ქომაგომას. ცხადია, რომ მათ უკან ვიღაც იდგა და მათ მართავდა. ძმები ცარნაევები ამერიკის მოქალაქეები არიან და ჩეჩნეთის რესპუბლიკასთან მათ არავითარი კავშირი არ აქვთ“, – განაცხადა კადიროვმა.

ჩეჩნეთის რესპუბლიკის ლიდერი ასევე დარწმუნებულია, რომ უცხოელებს ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონებში ვიზიტის არ უნდა ეშინოდეთ. კადიროვი დიდი ბრიტანეთის დიპლომატიური უწყების განცხადებას გამოეხმაურა, რომელიც საკუთარ მოქალაქეებს რუსეთის ფედერაციის რეგიონებში გამგზავრებასთან დაკავშირებით აფრთხილებს.

„დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოქალქეებს ურჩია არ ეწვიონ ჩრდილოეთ კავკასიას. მე მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ჩეჩნეთი უფრო უსაფრთხოა, ვიდრე დიდი ბრიტანეთი! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“,-საუბარია კადიროვის განცხადებაში, რომელიც მისმა პრესსამსახურმა გაავრცელა.

დიდი ბრიტანეთის დიპლომატიურმა უწყებამ საკუთარ მოქალაქეებს ურჩია თავი შეიკავონ რუსეთის ზოგიერთ რეგიონში სტუმრობისაგან: „განსაკუთრებით ხშირი ტერორისტული თავდასხმები მოსკოვსა და ჩრდილოეთ კავკასიაში ხდება“,-საუბარია განცხადებაში.

# ნეთანიაჰუმ ახალი დასახლებების მშენებლობა შეაჩერა

ისრაელის სადამკვირვებლო ჯგუფისა და მედიის ინფორმაციით, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიჰუმ ახალი ებრაული დასახლებების მშენებლობა შეაჩერა.



„ისრაელში ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას ვიზიტის შემდეგ, ჩვენ ვხედავთ, რომ დასავლეთ ნაპირზე ახალი მშენებლობების დამტკიცება, უმრავლეს შემთხვევაში, შეჩერებულია“,– იარივ ოპენჰეიმერმა, რომელიც ამ პროცესს აკვირდება, „როიტერს“ განუცხადა.

ისრაელის „არმი რედიოს“ ცნობით, პრემიერმა ახალი სახლების მშენებლობების შესახებ ტენდერების შეჩერების ბრძანება გასცა. ადგილობრივი მედისაშუალებების ცნობით, ამერიკის სახელმწიფო მდივნის ჯონ კერის ისრაელში ვიზიტის დროს ნეთანიაჰუ მას დასავლეთ ნაპირსა და აღმოსავლეთ იერუსალიმში, ივნისის შუა რიცხვებამდე, ახალი ტენდერების გამოცხადების შეწყვეტას დაჰპირდა.

პრემიერის წარმომადგენელმა, ტენდერების შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია არც დაადასტურა, არც უარყო.

დასავლეთ ნაპირზე მშენებლობების შეჩერება საჭიროა იმისათვის, რათა ამერიკამ ისრაელსა და პალესტინას შორის სამშვიდობო მოლაპარაკებების განახლებაში დახმარება შეძლოს.

# ბანგლადეშში 37 ადამიანი დაიღუპა



ქუჩის არეულობების შედეგად, ბანგლადეშში 37 ადამიანი, მათ შორის, პოლიციელი დაიღუპა. სააგენტო „ფრანს პრესის“ ინფორმაციით, ასეულობით ადამიანი დაშავებულია, ხოლო ათეულობით მონაწილე, მათ შორის, ლიდერები დააპატიმრეს.

სააგენტო აღნიშნავს, რომ ეს ბანგლადეშში ყველაზე სისხლიანი არეულობა იყო, ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე.

ქვეყნის დედაქალაქში შეტაკება პოლიციასთან მას შემდეგ დაიწყო, რაც პოლიციამ რადიკალი ისლამისტების ბანაკის დაშლა დაიწყო, რომელიც მათ ქალაქის საქმიან რაიონში განათავსეს. აქციაში დაახლოებით 70 ათასი ადამიანი მონაწილეობდა.

თვითმხილველთა განცხადებით, დემონსტრანტები მანქანებს და მაღაზიების წვავდნენ და პოლიციას ქვებს და აგურებს უშენდნენ, ხოლო პოლიციამ რეზინის ტყვიები და ცრემლსადენი გაზი გამოიყენა.

ასევე ბანგლადეშში, ფაბრიკის კომპლექსის „რანა პლაზას“ ჩამონგრევის შედეგად დაღუპულთა რაოდენობამ, ბოლო მონაცემებით, 700 ადამიანს გადააჭარბა. ინფორმაციას ამის შესახებ „ბი-ბი-სი“ სამხედროებზე დაყრდნობით ავრცელებს.

რვასართულიანი შენობის ნანგრევებიდან, რომელიც ორი კვირის შემდეგ ჩამოიგრა, დაღუპულთა ცხედრების გამოტანა ამჟამადაც გრძელდება.

შენობის ჩამონგრევამ, რომელშიც ოთხი ფაბრიკა იყო განთავსებული, ბანგლადეშის მუშათა მასობრივი პროტესტი და საზღვარგარეთიდან კრიტიკა გამოიწვია. მუშები ფაბრიკებში უსაფრთხოების ნორმების დაუცველობას აპროტესტებდნენ და პროტესტი მანამ გრძელდებოდა, ვიდრე აქციების მონაწილეების სამსახურებში დაბრუნება ქვეყნის პრემიერ მინისტრმა არ სთხოვა. კომპლექსის ჩამონგრევის საქმეზე უკვე დაპატიმრებულია ცხრა ადამიანი.

# ჯონ კერი მოსკოვში ჩადის



აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი ორდღიანი ვიზიტით მოსკოვში ჩადის, რომლის დროსაც იგი რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს, საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვს და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდება.

დღის წესრიგში არის რუსულ-ამერიკული ურთიერთობების გაუმჯობესების პერსპეტივის განხილვა ასევე ისეთ თემებზე საუბარი, როგორიც არის სირიასა და ირანში არსებული სიტუაცია, ასევე საუბარი წარიმართება „დიდი რვიანის“ მოსალოდნელ შეხვედრაზე.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ინტერნეტ გვერდზე ღნიშნულია, რომ აშშ-ს სახელმწიფო მდივანი თავის ვიზიტს უცნობი ჯარისკაცის საფლავის გვირგვინებით შემკობით დაიწყებს და შესაძლებელია რამდენიმე ვეტერანსაც შეხვდეს.

# ირანში პრეზიდენტობის კანდიდატების რეგისტრაცია დაიწყო



ირანში ქვეყნის პრეზიდენტობის კანდიდატების რეგისტრაცია დაიწყო, რომელიც 11 მაისამდე გაგრძელდება. პირველად ქვეყანაში კანდიდატების რეგისტრაცია ელექტრონულ ფორმატში მოხდება.

12-დან 16 მაისის პერიოდში ირანის კონსტიტუციის სამეთვალყურეო საბჭო თითოეულ კანდიდატურას განიხილავს. თუ საბჭო რაიმე მიზეზით გადაწყვეტს, რომ რომელიმე კანდიდატს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ აქვს, მაშინ კანდიდატს დადგენილ ვადებში ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება შეეძლება.

როგორც ირანის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაშია საუბარი, კანდიდატთა სია 22-23 მაისს გამოქვეყნდება. საპრეზიდენტო კამპანია ქვეყანაში 24 მაისს დაიწყება, რომელიც 12 ივნისამდე გასტანს. ირანში მე-11 საპრეზიდენტო არჩევნები 2013 წლის 14 ივნისს გაიმართება.

ირანის პრეზიდენტი, ისლამური რესპუბლიკის მთავრობის მეთაური, აირჩევა პირდაპირი საყოველთაო არჩევნების გზით 4 წლის ვადით. იგი ქმნის მინისტრთა კაბინეტს და ხელმძღვანელობს მის მუშაობას. აღსანიშნავია, რომ ირანის საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება იმყოფება ქვეყნის პოლიტიკური და სულიერი ლიდერის (ამჟამად აიათოლა ხამენეი) კონტროლის ქვეშ. პრეზიდენტის თანამდებობა შემოღებულ იქნა შაჰის რეჟიმის დამხობის შემდეგ. თავდაპირველად მას სიმბოლური ფუნქცია ჰქონდა, მაგრამ კონსტიტუციური ცვლილების შემდეგ გაუქმდა პრემიერ-მინისტრის პოსტი და მისი ბევრი ფუნქცია პრეზიდენტს დაეკისრა. ამჟამად ირანის პრეზიდენტი გავლენიან პოლიტიკურ ფიგურას წარმოადგენს.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# პროტექციონისტული პოლიტიკა ქართული თეატრებისადმი

**დასაწყისი მე-7 გვერდზე**

ჩვენ ვერავის დავაძალებთ, რომ გვეწვიოს, მაგრამ ყველა მშობელმა და პედაგოგმა უნდა იცოდეს, რომ თეატრი ესთეტიკური აღზრდისათვის საუკეთესო და ეფექტიანი საშუალებაა. მასკულტურა, რომელიც ასე ფეხმოკიდებულია და ქმნის ხელოვნების ილუზიას, მხოლოდ მაშინ დამარცხდება, თუ იქნება თეტრისადმი პროტექციონისტული პოლიტიკა გატარებული.

**– *წელიწადის განმავლობაში ჭიათურის თეატრი რამდენ სპექტაკლს წარმოადგენს?***

– წელს 14 სპექტაკლი იქნება ნაჩვენები, ყველა ასაკის მაყურებლის ინტერესი იქნება გათვალისწინებული და ველოდებით მაყურებელს დიდი სიყვარულით. მსახიობებს არა მარტო მატერიალური ჰონორარი უხარიათ, არამედ მათთვის ყველაზე დიდი ანაზღაურება მაინც მაყურებლის ტაშია. ასე თუ ისე, ჩანს პროგრესი, რადგან ყველა პრემიერაზე ჩანს მაყურებლის მატება, მათ შორის– ადმინისტრაციული რესურსების რეგულარული დასწრება სპექტაკლებზე.

**– *როგორ შეაფასებდით ახალ კანონს თეატრის შესახებ?***

– ეს მესამე კანონია, რომელიც კანონმდებლებმა შემოგვთავაზეს ჩემი მმართველობის პერიოდში. ვფიქრობ, რომ ეს კანონი ბევრად უფრო დახვეწილია და თეატრის ხარისხის ზრდას აუცილებლად შეუწყობს ხელს.

**პ.ს.** ინტერვიუ უკვე ჩაწერილი მქონდა, როცა გამახსენდა ერთი ფაქტი. ,,ქართული პარტიის“ ლიდერები აწყობდნენ შეხვედრას ჭიათურელ ამომრჩეველთან, რატომღაც ვერცერთმა ორგანიზაციამ ,,ვერ შეძლო“ ოპოზიციური სპექტრისათვის დარბაზის გამოყოფა, გარდა ჭიათურის დრამატული თეატრისა. როგორც ჩანს, ის დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებები, ასე რომ მოგვწონს, ქართულ თეატრებთან მნიშვნელოვანად არის გადაჯაჭვული.

# სამგლოვიარო განცხადებები

შვილები გურამი, ქეთო, რძალი ნინო ხუფაცარია, სიძეები ზურაბ კუტიკაძე, გიორგი გობეჯიშვილი, შვილიშვილები სოფიკო, ნუგზარი, გურამი, გიორგი, შვილთაშვილები ნინო და თამარი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ილარიონ (ილუშა) კაკულია**

პანაშვიდი: 8 მაისს, 17 საათზე;
გამოსვენება: 9 მაისს, 14 საათზე;
მისამართი: დოლიძის ქუჩა, მე-9 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, მე-4 სართული.

ქ. სოხუმის შოთა რუსთაველის სახელობის პირველი საშუალო სკოლის 1966 წელს კურსდამთავრებულები მწუხარებით თანაგრძნობას უცხადებენ თანაკლასელ გურამ კაკულიას მამის, უკეთილშობილესი პიროვნების

**ილარიონ (ილუშა) კაკულიას**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**ოთხშაბათი 8 მაისი**

6.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.00 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 ტ/სერ „ბორჯია„ 17.00 დ/ფ „სახელგანთქმული თვითმფრინავები„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სიყვარული შიშით„ 21.00 ტ/სერ „ბორჯია„ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 მხ/ფ „ყოველთვის თქვით დიახ„ (ჯ.კერი) 01.20 დ/ფ „ახალგაზრდული სული„

8.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „ფერების სამყარო„ 3 ნაწ. 14.00 დ/ფ „ადამიანის პლანეტა„ 7 ნაწ. 16.00 ფეხბურთი — საქართველოს თასის ნახევარფინალური მატჩი: „სიონი„ (ბოლნისი) — „ჩიხურა„ „საჩხერე/ I-II ტაიმი (პ/რ) 19.00 ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი„00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

7.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 ღამის შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „მაგნატები„ 6 სერ. 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ფულთან თამაში 23.00 მხ/ფ „ქალები„ (მელოდრამა. 1.50 მ. რაიანი„ ა. ბენინგი„ ე. მენდესი) (12)01.35 მხ/ფ „აზრთა მპყრობელნი„ (ქ.სლეიტერი)03.15 მუსიკა

7.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 იღბლიანი ბორბალი. 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 22.00 ნანუკას შოუ. 23.30 სერ. „გრიმი„01.00 მხ/ფ.03.00 კურიერი დაიჯესტი
კლიპები

6.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.20 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.45 ირაო „აღდგომა აფხაზეთში„ 07.20 6000 დავით გარეჯელი მოწამე 07.30 მოკ/ფ „ქვევრი„ 08.00 დილის ლოცვა 08.10 სახარება 08.15 ერთი წვეთი 08.30 „განთიადი„ 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 ჩვენი ფონდი 11.00 ქრისტიანული ხელოვნება 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები 13.20 ქრისტიანული სწავლება 13.30 კონცერტი - ბიძინა კვერნაძე 14.30 ჩვენი ბიბლიოთეკა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ წმინდა მიწაზე„ III ნაწ. 15.55 ეთნოგრაფია 16.10 მოკ/ფ „ალავერდობა„ 16.55 კვირიაკე 18.05 დიდ ხარ შენ,უფალო 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „მე, ბებია ილიკო და ილარიონი„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 პასექის ჟამნი 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.10 დოკ/ფ „იერუსალიმი„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 დოკ/ფ „გელინო„

მაესტრო 7.00, 1.30, 4.00, 6.30 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.00, 10.00, 0.00 ახალი ამბები 8.10, 9.15, 10.15 მაღვიძარა 11.00, 14.30 მაგთიფანი 11.30 აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.00, 4.30 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 კვირის აბები (გამ.) 17.00 ჩემი ქორწილი (გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 0.30 თოქ-შოუ „არგუმენტები„ 19.15 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 21.30, 2.00 მაგთიფანი კონცერტი

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


8 მაისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6508

ევრო — 2,1602

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5635

100 რუსული რუბლი — 5,2816

## ამინდის პროგნოზი 8 მაისისთვის





## 25 აპრილიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 2

ჩეხური ზღაპრები




უკვე გამოსულია:

ტომი 1. ამერიკული ზღაპრები

გამოსაცემად მზადდება:

ტომი 3. ბრაზილიური ზღაპრები

ტომი 4. ფრანგული ზღაპრები


## ასტროპროგნოზი 8 მაისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ! ეს დღე სიმშვიდეს მოგიტანთ

**ვერძი** — ფული გაქვთ, პრობლემა გეხსნებათ. **კურო** — გზიდან ფულსა და საჩუქარს მიიღებთ. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, ყველაფერი გამოგივათ. **კირჩხიბი** — არ აყვეთ სხვებს, თავს მიხედეთ. **ლომი** — რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ქალწული** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ღრიანკალი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **მშვილდოსანი** — ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **თხის რქა** — სახლში დიდი სიხარული გელით. **მერწყული** — არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **თევზები** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად**: 1. უცოდინარი, უვიცი, რაიმე საქმეში; 2. რაიმე საგნების სია, რომლებიც გარკვეული წესით არის შედგენილი; 3. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 4. მდინარე გურიაში; 5. ნადირისგან დამცავი ძაღლის ეკლიანი ყელსაბამი; 8. მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების განადგურება რასობრივი ან ეროვნული ნიშნით; 12. ქალაქის ტიპის დასახლებული პუნქტი; 13. გარემოსა და ცოცხალი ორგანიზმების ურთიერთ დამოკიდებულების შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 14. ჯაზის, იმპროვიზაციული სტილი; 16. მინერალური წყალი ჯავის რაიონში; 18. ხის ჩასაბერი, აღმოსავლური მუსიკალური ინსტრუმენტი; 20. ძვირფასი ქვა, რომელზედაც ამოკვეთილია წარწერა ან გამოსახულება.

**თარაზულად**: 6. მუსიკალური ნაწარმოების შესავალი ნაწილი; 7. კოსმოდრომი იაპონიაში; 8. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 9. ყოველკვირეული ჟურნალი; 10. მოსავლის ამღები სასოფლო სამეურნეო მანქანა; 11. „ვეფხისტყაოსანის“ ინგლისურად მთარგმნელი; 15. ფასიანი ქაღალდი; 17. უდაბნო აფრიკაში; 19. შეიარაღებული მძარცველი, ბანდიტი; 21. ზღვისპირა კურორტი გულრიფშის რაიონში; 22. ლიმონათის გაჯერება, გაზავება ნახშირმჟავა აირით; 23. თეთრი მელას ძველი ქართული სახელწოდება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




# პლატინის მადლობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას




საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ზვიად სიჭინავას უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ 26-28 აპრილს თბილისში გამართული უეფას ფუტსალის თასის ფინალური ეტაპის უმაღლეს დონეზე ჩატარებისათვის მადლობის სპეციალური წერილი გამოუგზავნა. წერილში აღნიშნულია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას პირველად მიეცა შესაძლებლობა მსგავსი რანგის ტურნირის მასპინძლობისა და ქართულმა მხარემ სრულად უზრუნველყო აღნიშნული ღონისძიების ჩატარებისათვის უეფას მიერ დადგენილი მოთხოვნების შესრულება. სასიამოვნო მოულოდნელობად იქცა თბილისში უეფას ფუტსალის თასის ფინალური ეტაპის მიმდინარეობისას მოხსნილი რეკორდიც — ოთხივე მატჩს ამ ტურნირისათვის რეკორდული რაოდენობის — 23.863 მაყურებელი დაესწრო.

წერილში ხაზი გაესვა იმ პერსონალურ ღვაწლს, რომელიც სფფ-ის საორგანიზაციო კომიტეტის თითოეულმა წევრმა ტურნირის ორგანიზებისათვის გასწია. უეფა პრეზიდენტმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ტურნირის დირექტორ დიმიტრი ბოკერიას, რომელმაც მთელ საორგანიზაციო გუნდთან ერთად ღირსეულად წარმართა უეფას ფუტსალის ფინალური ეტაპი და ყველაფერი გააკეთა ტურნირის უმაღლეს დონეზე ჩასატარებლად.

უეფას პრეზიდენტის ოფიციალური წერილში ხაზგასმულია ის მეგობრული თანამშრომლობა და მასპინძლობაც, რომელიც სფფ-მ უეფას წარმომადგენლებს ტურნირის მიმდინარეობისას გაუწია.

— ჩვენი მხრივ კი გვსურს დავამატოთ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის უეფას ფუტსალის ფინალური ეტაპის მასპინძლობა უდიდესი გამოცდილება იყო. ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია იმ ნდობის გამართლება, რასაც უეფა სფფ-ის უცხადებს. თითოეული ასეთი რანგის ღონისძიება ჩვენთვის მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია, რათა გავიღრმავოთ ცოდნა და შევიძინოთ გამოცდილება ჩვენს ქვეყანაში კიდევ უფრო დიდი და მასშტაბური ღონისძიებების ორგანიზებისათვის, — წერია სფფ-ს ვებ-გვერდზე.

მ. ყ.

# მაია ბარათაშვილი თსუ-ში კონცერტს გამართავს


ეკა ირემაშვილი




8 მაისს მომღერალი მაია ბარათაშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აქცია-კონცერტს გამართავს. საღამო ყველა იმ ქალბატონს მიეძღვნება, რომლებმაც მკერდის კიბო დაამარცხეს.

ამავე დღეს ამავე აქციის ფარგლებში მხატვარ ეკა აბულაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენის გახსნის საზეიმო ცერემონიალი გაიმართება. ღონისძიების პარტნიორი და მხარდამჭერი „ეროვნული სკრინინგ ცენტრია“. მაია ბარათაშვილის აქცია-კონცერტი თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით ჩატარდება.

მაია ბარათაშვილი ბოლო პერიოდში აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში. მან ახალი სიმღერაც ჩაწერა, რომლის ავტორი კომპოზიტორი მარინა გოჩიტაშვილია. მომღერალს აკომპანიმენტი „ანა ბანას“ მონაწილე პაპუნა შარიქაძემ გაუწია.

მომღერლის თქმით, იგი ქართველ საზოგადოებას კიდევ არაერთ სიახლეს შესთავაზებს, რომელიც უახლოს მომავალში გახდება ცნობილი.

მაია ბარათაშვილი, მომღერალი:

— მიყვარს ასეთ აქციებში მონაწილეობა. თსუ-ში ტარდება აქცია-კონცერტი და ის ყველა იმ ქალბატონს ეძღვნება, რომლებმაც მკერდის კიბო დაამარცხეს. ასევე ჩავწერე ახალი სიმღერა, რომელიც მარინა გოჩიტაშვილს ეკუთვნის. მისი პრეზენტაცია დაიგეგმა ალბომის პრეზენტაციისთვის. გადავწყვიტეთ, რომ მხოლოდ ამის შემდეგ მიგვეტანა რადიოებში და დაგვეტრიალებინა.

*— ჟანრობრივად რა სტილის სიმღერაა?*

— მარინა გოჩიტაშვილი მუშაობს ქართულ ქალაქურ სიმღერაში, რაც ჩემგან შორს არის. დაიწერა სიმღერა, რომელსაც ჩემებური ინტერპრეტაცია მივეცი, აკომპანიმენტი პაპუნა შარიქაძემ გამიკეთა, მანაც თავისი წვლილი შეიტანა და გამოვიდა ჯაზური ბალადა, მხოლოდ ქართული ტექსტით, ლექსიც მარინა გოჩიტაშვილისაა.

*— ამბობენ, რომ ქართული ტექსტი ჯაზს არ უხდება. თქვენ როგორ მოარგეთ?*

— მუსიკას უხდება ქართული ტექსტი, ერთადერთი, ნაწარმოებს ჯაზურ ბალადად აქცევს მისი ფორმა. შესაბამისად, ამ ნაწარმოებში არის გარკვეული ფორმა, არის იმპროვიზაცია ვოკალური და არის იმპროვიზაცია საფორტეპიანო და ჰარმონიული ბადე.

*— პაპუნასთან პირველად ითანამშრომლეთ?*

— დიახ, პაპუნა შარიქაძესთანაც პირველად ვითანამშრომლე და კომპოზიტორ მარინა გოჩიტაშვილთანაც. ძალიან საინტერესოა, რომ ქალაქური სიმღერების ავტორმა დამინახა თავის სიმღერაში, თავის შემოქმედებაში და მომცა თავისუფლება, შეიძლება ასე ითქვას და, აქედან გამომდინარე, ტანდემი გამოვიდა ნორმალური, რადგან სიმღერა მოვარგე ჩემს სტილს.

*— სხვა ნაწარმოებებზე მუშაობთ?*

— დიახ, დავიწყე ქართველ კომპოზიტორებთან აქტიური თანამშრომლობა. დავგეგმე, დებიუტი მქონოდა ლილიკო ნემსაძის შემოქმედების შესრულებაშიც. ლილიკო ნემსაძესთანაც არასოდეს მიმღერია. ეს არის რომანსი, რომლის ლექსიც დაწერა ლალი მოროშკინამ. ის ჩემი მეგობარია და კარგი ლექსი გამოუვიდა, ლილიკომ დაწერა მუსიკა და მთლიანობაში გამოვიდა რუსული რომანსი. ამ რომანსის შესრულება კი ლილიკო ნემსაძის იუბილეზე გადავწყვიტეთ, თანაც სიმღერის ცოცხლად შესრულება ვარჩიეთ.

*— თბილისის ბიგ ბენდთან ერთად კონცერტებს ისევ ატარებთ?*

— კი, უკვე ჩავატარეთ კონცერტები რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში და მომავალშიც გავაგრძელებთ. გაჩნდა იდეა, რომ ანსამბლ „მუხამბაზთან“ ვითანამშრომლოთ, მაგრამ ამაზე მოგვიანებით ვისაუბროთ.

*— ალბომს ხომ არ გამოუშვებთ?*

— ჯერ წინასწარ ვერაფერს გეტყვით, რადგან სიურპრიზები უფრო სასიამოვნოა ხოლმე.

*— გასტროლები უკვე დაგეგმეთ?*

— ზაფხულში ალბათ ბელგიაში წავალ, მაგრამ ამაზეც მოგვიანებით ვისაუბრებ, როცა უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი და დალაგებული იქნება.

# ეროვნული მუზეუმი მულტიმედიურ გამოფენას უმასპინძლებს


ეკა ირემაშვილი


8 მაისს საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი „ქარვასლა“ და გოეთეს ინსტიტუტი მულტიმედიური და ინტერაქტიული გამოფენის „მუსიკ + იქს“ საზეიმო გახსნას მოაწყობს..

— „მუსიკ + იქს“ ქარვასლაში 8-დან 28 მაისამდე გაგრძელდება. „მუსიკ + იქს“ უფრო მეტია, ვიდრე გამოფენა. ეს გერმანული მუსიკის ფესტივალია. ქარვასლაში აღმართულ 4 პავილიონში თანამედროვე გერმანული მუსიკის 4 ჟანრი იქნება წარმოდგენილი. დამონტაჟებულ მონიტორებზე მუსიკალური ვიდეოების ყურება და გერმანული ბენდების ალბომების მოსმენა გამოფენაზე მოსულ ყველა სტუმარს შეეძლება. გამოფენაზე აღმოჩნდებით პოპვარსკვლავების, რეპერების, როკრებელების, ჰიპჰოპერებისა და ინდის მომღერლების გერმანულ სამყაროში. ზოგ მათგანს ნამდვილად იცნობთ, რადგან მათ მსოფლიო პოპულარობა მოიპოვეს, ზოგიერთი კი გერმანიაშია ცნობილი, — განაცხადა გოეთეს ინსტიტუტის წარმომადგენელმა ანა მშვილდაძემ.




მისივე თქმით, გამოფენა „გერმანული ენის თვის“ ფარგლებში გაიმართება, რომლის დევიზიცაა „სამი ქვეყანა — ერთი ენა“. გამოფენის ფარგლებში გოეთეს ინსტიტუტი სხვადასხვა ღონისძიებასაც ჩაატარებს, რომლებიც თანამედროვე ახალგაზრდული და არამარტო ახალგაზრდული გერმანული კულტურის ასპექტებს წარმოადგენს. 8 მაისს მსმენელის წინაშე წარდგება ანსამბლი „თუთარჩელა“ და ზაალ კახიანის ბენდი და ქარვასლაში თანამედროვე გერმანული მუსიკის კონცერტს გამართავს. 10 მაისს ჩატარდება გერმანული ენის სპეციალისტებისა და პედაგოგებისათვის ვორკშოპი „თანამედროვე გერმანული მუსიკა“. 19-20 მაისს ცნობილი გერმანელი გრაფიტისტი კანტვო ქართველი ახალგაზრდებისათვის ორდღიან გრაფიტი-ვორკშოპს ჩაატარებს და მათთან ერთად მოხატავს თბილისის ქუჩის კედლებს.

— გამოფენის ჯგუფური დათვალიერება გერმანულენოვან გიდთან ერთად შესაძლებელია წინასწარი რეგისტრაციით, ინდივიდუალური დათვალიერება კი შესაძლებელია რეგისტრაციის გარეშე, — განმარტა ანა მშვილდაძემ.

# ვერიკო ტურაშვილი ვეტერანებისთვის იმღერებს



9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების დღეს, სპეციალური საზეიმო მიღება გაიმართება, რომლის ორგანიზატორებიც არიან საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „რუსული კლუბი“ და სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი“. საზეიმო მიღება გაიმართება მცხეთაში და ის სპეციალურად დიდი სამამულო ომის ვეტერანებისთვის მოეწყობა.

— წელს „რუსული კლუბი“ მართავს აქციას — თითოეულ ვეტერანს მიმაგრებული ჰყავს სტუდენტი, რომელიც


გაგრძელება მე-10 გვერდზე